კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სტუდენტი ანრი დუშუაშვილი

შავიზღვისპირეთის არეალის როლი კავკასიის რეგიონის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების საქმეში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

ვახტანგ მაისაია, პროფესორი პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი - 2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება კავკასიის რეგიონის ენერგოუსაფრთხოებასა და შავიზღვისპირეთითის არეალის როლს მის განმტკიცებაში.

თანამედროვე პერიოდში მსოფლიოს სახელმწიფოები ენერგო რესურსების ალტერნატიული წყაროების მოზიდვით ცდილობენ საკუთარი ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას. ევროპის სახელმწიფოების დაინტერესება კასპიისპირეთის ენერგორესურსების მიმართ კავკასიის რეგიონს აძლევს საშუალებას იყოს რეგიონალური პროექტების მთავარი რგოლი და სათავე დაუდოს ახალი რეგიონალიზაციის (ევროპა-კავკასია-კასპიისპირეთი) მოდელებს. სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე ეს მისთვის შესაძლებელია დამატებითი საფრთხეების მომტანი გახდეს ჩრდილოლი მეზობლისგან, რომელიც კავკასიის რეგიონის ინტეგრაციულ ისტორიას შემორჩა.

პოსტ ბიპოლარული პერიოდადან მოყოლებული შავი ზღვის არიალი კავკასიის უსაფრთხოების ერთერთი გარანტი გახლდათ და გლობალიზაციის გავლენით ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების როლიც შეითავსა. დამოუკიდებელი ენერგო პოლიტიკა ამ რეგიონებისთვის პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით საციცხლოდ მნიშვნელოვა. ასევე, თემაში განხილულია, მიმდინარე ენერგოგეოპოლიტიკური პროცესები. შავი ზღის არეალის მნიშვნელობა არსებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში.

თემის ლიტერატურული ანალიზით და მათი შეკრებით, შევეცადე წარმომედგინა კავკასიის ენერგოუსაფრთხოების ძირითადი სისტემების და ახალი რეგიონალიზაციის მოდელის ჩამოყალიბების დადებითი და უარყოფითი მხარეები.

Annotation

Master's thesis is about the energy security of the Caucasus Region and the role of Black Sea Coast area in its strengthening.

In modern times, world countries are trying to strengthen their own energy security by bringing alternative sources of energy resources. The interest of the European states in respect of Caspian Coast Energy Resources, Caucasus Region gives opportunity to be a main link of the regional projects and to contribute a new regionalization (Europe-Caucasus-Caspian Coast) models. Depending on various factors, it may be possible to bring additional threats from the northern neighbor which has remained in the Caucasus Region's integration history.

Since the post-bipolar period, the Black Sea area was one of the warrantees of the Caucasus Security and through the influence of globalization it has assumed the role of strengthening of energy security. An independent energy policy is vitally important for these regions by policy-economic point of view. Also, in the work discussed current energy geopolitical processes, the importance of the Black Sea area in the existing geopolitical space.

With a literary analysis of the topic and collecting them, I tried to represent the pros and cons of the main systems of energy security in the Caucasus and the formation of a new regionalization model.

Anri Dushuashvili

შინაარსი

ანოტაცია 2

Annotation 3

შესავალი 5

თავი I. შავიზღვისპირეთის გეოპოლიტკური კონტურები და მისი ადგილი მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკის სისტემაში 12

1.1. შავიზღვისპირეთის არეალი გეოპოლიტიკური კონტურები და მისი ადგილი მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკის სისტემაში. 12

1.2 შავიზღვისპირეთის არეალის მნიშვნელობა „ცივი ომის“ პერიოდში 17

1.3. გლობალიზაციის გავლენა შავიზღვისპირეთის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაზე პოსტ ბიპოლარულ პერიოდში. 19

თავი II. კავკასიის რეგიონის ენერგოპოლიტიკა და საერთაშორისო უსაბრთხოება: კომფრონტაციიდან პარტნიორობამდე 26

2.1. ენერგო გეოპოლიტიკის არსი და მისი მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკისთვის 26

2.2 კავკასია-კასპიისპირეთის ახალი რეგიონული დანიშნულება და შავი ზღვის უსაფრთხოების განზომილება 34

2.3 კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემა და ახალი გამოწვევები 41

თავი III. კავკასის რეგიონული ინტეგრაცია შესაძლებლობები და რუსეთის ფაქტორები 47

3.1 კავკასიის ენერგოუსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპეკტები 47

3.2. კავკასიური რეგიონალური ინტეგრაციის ისტორია და რუსეთის ფაქტორი 53

3.3. ახალი რეგიონალიზაცია როგორც რეგიონული უსაფრთხოების ახალი მოდელი 58

დასკვნა 64

გამოყენებული ლიტერატურა 68

შესავალი

პოსტ ბიპოლარულ პერიოდისგან განსხვავებით სახელმწიფოთა კომუნიკაციებში მხოლოდ სამხედრო კონტინენტის ფაქტორი აღარ წარმოადგენს გადამწყვეტ მნიშვნელობას, ზოდგჯერ ეკონომიკური ძლიერება გადამწყვეტ როლსაც ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობებში. XXI საუკუნის საზოგადოებისთვის მატერიალური დოვლათი უმეტესწილად მისი ქვეყნის ეროვნულ ინეტერესებზე მაღლა დგას, განსაკუთრებით განვითარებულ სახელმწიფოებში. ევროპის ზოგიერთი ქვეყნა საკუთარი ეროვნული ინტერესების მიუხედავად, სახელმწიფოში მაინც რუსული გაზის იმპორტს ახდენს. დღეს სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური დამოკიდებულება იმდენად მაღალია, განსაკუთრებით ენერგორესურსების თვალსაზრისით, რომ ერთმანეთზე დამოკიდებულები ხდებიან გააჩნიათ საერთო ინტერესები და ინდივიდუალ ხედვას ამცირებენ. „ევროკავშირის“ ქვეყნებისა და კავკასიის ურთიერთდამოკიდებულება კარგი მაგალითია. კავკასიის ენერგოდამოუკიდებლობა ევროპის ქვეყნების ენერგო და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ნიშნავს. ისინი საერთო მიზნებით ცდილობენ ენერგოუსაფრთხოების შექმნას და მიუხედავად მათი გეოგრაფიული არიალისა მათი მიზანია გაერთიანდნენ, როგორც საერთო სივრცე. ასეთ პროცებს ჩრდილოეთ მეზობოლი მკაცრად ეწიინაღმდეგება და მისი აგრესიული პოლიტიკდან გამომდინარე მიმართავს ყველა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ბერკეტს. რუსეთი პოლიტიკური მანიპულაციებისთვის იყენებს საკუთარ ენრგო რესურსებს, ასევე საკუთარი გავლენის ზემოქმედებით პოლიტიკურ კოლაფს უქმნის კავკასიას. იგი არ ერიდება არც საომარი მოქმედებების წარმოებას, ამის ნათელი მაგალითია საქართველოსა და უკრაინის წინააღამდეგ განხორციელებული აგრესია. ისტორიას ახსოვოს ასევე მისი მხრიდან ზამთრის ცივ პერიოდში გაზასადენის შეწყვეტა ევროპისა და კავკასიის რეგიონისთვის, რის შემდეგაც კოლოსალური ზიანი მიადგა მოსახლეობასა და ეკონომიკას. რუსეთი არ ერიდება სამხედრო დაპირისპირებისას ისეთი იარაღების გამოყენებას რომელიც, საერთო გარემოს დააზიანებს, ასევე საეჭვოა რამდენად უსაფრთხოა

გარემოსთვის მისი ახალი ალტერნატიული ენერგოპროექტები, რომლებიც ზღვის ფსკერზე მიმდინარეობს.

ასეთ აგრესიაზე ხელის შეშლა მხოლოდ ძალუძს რეგიონალური ბლოკების გაერთიანებას, როგორიცაა: “BSEC”, “GUAM” და სხვები. ისინი წარმოადგენენ „ნატო“ და „ევროკავშირის“ ალეტრნატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც მათ ზურგს უმაგრებენ. მაქსიმალურად ცდილობენ განავითარონ ისინი საკუთარი გამოცდილების გაზიარებით. ასევე უშუალოდ აიღონ საკუთარ თავზე მათი მოქმედების გეგმის დასახვა. ისინი თითიოელი კავკასიის რეგიონის ქვეყანის განვითარებას ცდილობენ, რომლებიც არ არიან მათი ალიანსების წევრი ქვეყნები, მაგრამ არიან მოკავშირეები. მათი ამგვარი განვითარებით აძლევენ საშუალებას მიაღწიონ იმ ზღვარს, როდესაც მოხერხდება „ნატო“ და „ევროკავშირში“ გაერთიანება.

არჩეული სამაგისტრო თემის აქტუალურობა

XXI საუკუნეში კავკასიის რეგიონის სატრანზიტო მნიშვნელობამ იმდენად აიწია, რომ მსოფლიოს გეოპოლიტიკური პროცესების მთავარი რგოლი გახდა. თანამედროვე მსოფლიოში ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკის წარმოება სახელმწიფოს ეროვნულ ინერესებთან ასოცირდება. იმ ფონზე როდესაც ევროპის ქვეყნები ცდილობენ თავი დააღწიონ რუსეთის გაზს, ეს დიდ წილად ეკონომიკური თვალსაზრისით გაანახლეებს აბრეშუმის გზას. კავკასიის როგორც რეგიონის უსაფრთხო გარემო მისცემს საშუალებას დასავლეთსა და აღმოსავლეთს შექმნას საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობის სივრცე.

კავკასიის რეგიონის სატრანზიტო როლი იმდენად მიმზიდველია სხვა აქტორებისთვის (ჩინეთი,ინდოეთი და ა.შ), რომ ისინიც ცდილობენ საკუთარი ინტერესების გატარებას. მათი მიზანია რეგიონის ქვეყნებთან მჭიდრო კომუნიკაციები და რუსეთის გავლენის შესუსტება, რათა უფრო ღია სივრცე იყოს.

რუსეთის საგარეო პოლიტიკა ენერგო რესურსები ექსპორტზეა დაფუძნებული და შესაბამისად მისთვის იმპერიის იმიჯის შელახვა იქნება კავკასიის

რეგიონში, თუ მოხერხდება მისგან დივერსიფიკაციული გზების გაყვანა. ასევე შავი ზღვისპირეთი საერთაშორისო წყლებთან დამაკავშირებელია, რომელიც მისთვის სასიცხლოდ მნიშვნელოვანია. თავის მხრივ კავკასიის რეგიონი ენერგორესურსებით მდიდარ სამხრეთთან აკავშირებას და აილობეს მისი გავლენის გაფართოებას.

საკვლევი კითხვები

1. რა მნიშნვნელობა აქვს კავკასიის რეგიონში ენერგოპროექტებს, მისი დამოუკიდებლობისთვის ?
2. რა ინტერესები აქვს რუსეთს შავი ზღვის არეალში და როგორია მისი ენერგოპოლიტიკა?
3. რისთვის ჭირდება ევროკავშირის ქვეყნებს კავკასიის რეგიონის ენერგოუსაფრთხოება?
4. შავი ზღვის არეალში ენერგოუსაფრთხოების დამკვიდრების მნიშვნელობა კავკასიის რეგიონისთვის?

ჰიპოთეზა

თანამედროვე პერიოდში ენერგოუსაფრთხოების საკითხი კვლავ აქტუალურია.ქვეყნები იბრძვიან ენერგოდამოუკიდებლობისთვის და ენერგორესურესებისთვის სხავადასხვა რეგიონში.მათ შორის საკმაოდ აქტუალურია კავკასიის და შავი ზღვის არეალი.კავკასიის რეგიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოანია დამოუკიდებლობის შენარჩუნების საკითხი,რაც ამავდროულად აწყობს დასავლეთის ქვეყნებს.იქედან გამომდინარე რომ, ევროკავშირის ქვეყნებს ჭირდება უსაფრთხო ენერგომატარებლები და მიწოდების ბაზარი.რუსეთი ცდილობს დასავლეთის ქვეყნები გახადოს მასზე ენერგოდამოკიდებული რისთვისაც ახორციელებს ახალ ენერგო პროექტებს და მისგან ალტერნატიულ პროექტებს ბლოკავს.ევროკავშირის ქვეყნებს

ჭირდება ალტერნატიული ენერგოპროექტები და მომწოდებლების დივერისიფიკაცია თავისი ენერგოუსაფრთხოებისთვის.

თემის მიზნები და ამოცანები

ჩვენს მიერ შერჩეული საკვლევი თემის მიზნები და ამოცანებია შავიზღვისპირეთის არეალის როლი კავკასიის რეგიონის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების საქმეში:

- კავკასიის რეგიონის მნიშვნელობის განსაზღვრა ენერგოუსაფრთხოების საქმეში.
- შავი ზღვის არეალის ენერგეტიკული როლის განსაზღვრა.
- რუსეთის ფაქტორი შავი ზღვის აკვატორიაში ენერგოუსაფრთხოების განხორციელების პროცესში.
- შესაძლო რეგიონალური კონფლიქტის ასპექტის წარმოჩენა.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული სავარაუდო მეთოდოლოგია

- „ურთიერთდამოკიდებულების თეორია“ ავტორები არიან ამერიკელი მეცნიერები რ. ქიოჰანი და ჯ. ნეი, რომლებმაც 1977 წელს გამოცემულ წიგნში „ძალა და ურთიერთდამოკიდებულება“ ჩამოაყალიბებს მისი ძირითადი პრინციპები.
- ,,სექიურითიზაციის კონცეფცია“ უკავშირდება უსაფრთხოების კვლევების კოპენჰაგენის სკოლას, რომელიც ასოცირდება ოლი ვივერის, ბარი ბუზანის და მათი თანამოაზრეების სახელებთან კონსტრუქტივიზმის თეორიის წიაღში, რომელიც საზოგადოების ჩართულობას ითვალისწინებს
- „სოციალური კონსტრუქტივიზმი“ არის თეორიული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს სამყაროში არსებული და გაზიარებული ცოდნისა და მნიშვნელობების კონსტრუირების პროცესების კვლევას.სოციალური კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელია რუსი ფსიქოლოგი ლევ ვიგოტსკი (1896-1934).

ძირითადი საკვლევი საკითხები - კვლევის გეგმა

- სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მიმართულებებია:
- ახალი ენერგოგეოპოლიტიკური პროცესებისა და რეგიონალური ენერგოწესრიგის ტრანზიციის განვითარების სავარაუდო სცენარებისა და ვარიანტების კვლევა;
- შავიზღივსპრეთისა და კავკასიის არეალში მსოფლიო პოლიტიკურ დონეზე ენერგორესურსების გადანაწილებისა და რეგიონში ახალი პროექტების ჩამოყალიბების მიზეზების შესწავლა;
- რეგიონული ენერგოპოლიტიკის დინამიკის კვლევა და პერსპექტივის განსაზღვრა.

ლიტერატურის მიმოხილვა

1. ნიკა ჩიტაძე: „გეოპოლიტიკა“ -2011. ავტორი აანალიზებს გეოპოლიტიკის განსხვავებულ თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს. კერძოდ, კვლევის დანერგვის ნაწილში გეოპოლიტიკის როლსა და ადგილს სამეცნიერო სისტემაში, გეოპოლიტიკის განსაზღვრა.
2. ისმაილოვი და პაპავა „ცენტრალური კავკასია“ – 2010.ავტორები განიხილავენ მთელ რიგ კომპლექსურ საკითხებს როგორიცაა: ევრაზია და ცენტრალური ევრაზია:ანალიზის ამოსავალი წანამძღვრები.ასევე ევრაზიისა და ცენტრალური ევრაზიის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური კონტურებს.ევრაზიის გეოპოლიტიკური სივრცის ტრანსფორმაცია.ევრაზიიზმი და "ცენტრალური კავკასიის " კონცეფცია. რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ევრაზიისტული მიმდინარეობის თანამედროვე მდგომარეობა.ცენტრალური კავკასია: ძირითადი გეოპოლიტიკური პრობლემები და ევრაზიიზმი--ცენტრალური აზია და დიდი ცენტრალური აზია: ძირითადი გეოპოლიტიკური პრობლემები და ევრაზიიზმი "ცენტრალური კავკაზია" ახალი გეოპოლიტიკური

კონცეფცია."ჰართლენდის" თეორია და ცენტრალური ევრაზიის თანამედროვე გეოპოლიტიკური სტრუქტურა. პლანეტის ღერძული რეგიონი მაკინდერის თეორიაში.ღერძული რეგიონის ცენტრალური ევრაზიის ისტორიული ევოლუცია.ღერძული რეგიონის არსი, ფუნქციები და ჩამოყალიბების პრინციპები 21-ე საუკუნეში.ცენტრალური ევრაზიის ახალი გეოპოლიტიკური სტრუქტურა.

3. Kornely Kakachia, Stefan Meister, Benjamin Fricke „GEOPOLITICS AND SECURITY A NEW STRATEGY FOR THE SOUTH CAUCASUS“ წიგნში საუბარია სამხრეთ კავკასიის რეგიონის რუსეთის, ევროკავშირის, ირანისა და ჩინეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და ენერგო ინტერესების გასაყარზე მდებარეობს. რეგიონი ხასიათდება სუსტი სახელმწიფოებრიობით და გადაუწყვეტელი კონფლიქტებით. სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევებს შორის წამყვანი ადგილი დროში გაწელილ სეპარატისტულ კონფლიქტებს უჭირავთ, რომლებშიც გარე აქტორებიც, მათ შორის რუსეთიცა და თურქეთიც, არიან ჩართულნი. ევროკავშირი ცდილობს, აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის ფარგლებში, რეგიონში სტაბილურობის უზრუნველყოფას და მის გარდაქმნას. ამის მიუხედავად, მზარდი კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში რუსეთსა და დასავლეთს, თურქეთს და მისი მოკავშირეებს შორის, რასაც თან ერთვის, ჩინეთის გაძლიერება,ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიაზე. Richard
4. G. Newell,Yifei Qian,Daniel Raimi “global Energy Outlook 2015” Duke University energy Initaitive Usa,2015. ავტორები საუბრობენ მასიურ და გრძელვადიანი კაპიტალის შესახებ, ენერგეტიკული სისტემა იცვლება ნელი ტემპებით, თუმცა ბოლო წლების განმავლობაში საკვანძო ფრონტზე ჩნდება რამდენიმე მოსალოდნელი ცვლილებები.ექსპერტები მოკლედ აღწერენ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს და ისინი თანხმდებიან, რომ მომავალი 25 წლის განმავლობაში გლობალური ენერგიის მოხმარების ზრდა სავარაუდოა.გლობალური მოთხოვნის ცენტრი ჩინეთიდან და ინდოეთიდან გადადის ევროპაში,ჩრ.ამერიკასა და აზიაში.პროგნოზები აჩვენებენ

ენერგეტიკულ მოთხოვნების ზრდის მნიშვნელობის აზრს 2040 წლამდე, ვიდრე წინა მრავალწლიანი ათწლეულის პერიოდებში იყო, თუმცა წიაღისეულის მოპოვების ტემპები პროცენტულად ნაკლები იქნება მაგალითად:წიაღისეულის მოხმარება გაზრდილია,მაგრამ ბუნებრივი გაზისა და ნავთობის საბადოების აღმოჩენა შემცირებულია,ასევე ელექტროენერგეტიკული წყაროების მოხმარებაც სწრაფად იზრდება.

თავი I. შავიზღვისპირეთის გეოპოლიტკური კონტურები და მისი ადგილი მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკის სისტემაში

1.1. შავიზღვისპირეთის არეალი გეოპოლიტიკური კონტურები და მისი ადგილი მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკის სისტემაში.

შავიზღვისპირეთის არეალის კონტურების განსაზღვრა ხდება სხვადასხვა ასპექტში:

- შავიზღვისპირა ქვეყანა - ანუ ქვეყანა, რომელსაც აქვს შავი ზღვის სანაპირო და ჰყავს სამხედრო-საზღვაო ფლოტი (ასეთი ქვეყანა ექვსია - უკრაინა, რუსეთი, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და საქართველო).[1]

- შავი ზღვის აუზის ქვეყანა - ანუ ქვეყანა, რომელსაც აქვს სანაპირო ან უშუალო გასასვლელი შავ ზღვაზე (ასეთი ქვეყანა შვიდია - უკრაინა, რუსეთი, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, საქართველო და მოლდოვა);[2]

მისი გეოპოლიტიკური კონტურების საზღვრები მუდმივად იზრდება და დღეს უკვე ევროკავშირის ქვეყნებთან ერთად ჩრდილოეთ აფრიკის სახემწიფოებსაც მოიცავს. გეოგრაფიული მდებარეობით ის ესაზღვრება, როგორც დასვალეთ-აღმოსვლეთ ნაწილს, ისე სამხრეთ-აღმოსვალეთს, შესაბამისად ყველა რეგიონისთვის მიმზიდველ პლაცდარმს ქმნის.

---

[1]საერთაშორისო რეგიონალური განზომილებანი და მათი შესაბამისი ფორმატები საქართველოსათვის; ალექსანდრე რუსეცკი; გვ.1. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.7&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.6.1&gt=1

[2] საერთაშორისო რეგიონალური განზომილებანი და მათი შესაბამისი ფორმატები საქართველოსათვის; ალექსანდრე რუსეცკი; გვ.1. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.7&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.6.1&gt=1

აღნიშნული არეალის კონტურებში სამი ადგილობრივი აქტორი(რუსეთი, თურქეთი, ირანი) იდებს ბინას, რაც ცხადია რთულ პოლიტიკურ პროცესებს ქმნის. სამივე მათგანს საკუთარი ამბიციები გააჩნია რეგიონის პირველობაზე. ისინი ხშირად ხელს უწყობენ რეგიონში კონფლიქტური კერების წარმოქმნას. ისტორიაში ხშირია მათი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გამო დაპირისპირება. სატრანზიტო როლის შესრულებას დიდი მნიშვნელობა უკავია შავიზღვისპირეთის ქვეყნებში, ისევე როგორც საერთაშორისო პოლიტიკის სისტემაში. რეგიონში არსებული გარე და ადგილობრივი აქტორების ინტერესების განსხვავებულობა დაპირისპირების კერას ქმნის „ნატო“-სა და რუსეთს შორის. დღეს ირანის საგარეო პოზიციების გავლენა შესუსტებულია, ამიტომ რეგიონს თურქეთი და რუსეთი იყოფს.

უკრაინამ, მისი ბოლოდროინდელი საგარეო კურსიდან გამომდინარე, მიზნად დაისახა შავი ზღვის არელის მესამე აქტორად ჩამოყალიბდეს, რუსეთთან და თურქეთთან ერთად. ეს გამოიხატება რეგიონალურ ბლოკებში მისი გააქტიურებით.

ბულგარეთისა და რუმინეთის მონაწილეობა წამყვან ორგანიზაციებში მცირე სახემწიფოებისთვის (საქართველო, მოლდოვა) უსაფრთხოების გარანტია. ისინი წარმოადგენენ „ნატო“-ს ალიანს, შსაბამისად ყალიბდება ძალთა გადანაწილების სისტემა, რადგან მათაც რუმინეთის სახით გარკვეული ამბიციები გააჩნია. არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ შავი ზღვა „ნატო“-ს შიდა ზღვად გადაიქცა. ალიანსის წევრი და მოკავშირე ქვეყნების საზღვაო ზოლი ესაზღვრება(ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი, საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) მის სანაპიროებს, შესაბამისად მათი ჩართულობა შავი ზღვის არეალის პოლიტიკურ პროცესებში საკმაოდ მაღალია. “ნატო“-ს წევრი ქვეყნების სისტემის მთავარი მიზანია ამ რეგიონში ძალების გადანაწილება ახალი აქტორის შემოყვანით. თურქეთის მოკავშირეობის მიუხედავად დღევანდელი პროცესებიდან გამომდინარე ეჭვს იწვევს მისი საგარეო პოლიტიკა, ამიტომ ამ გაერთიანებას სჭირდება ახალი ძალა. თავდაპირველად რუმინეთის მთავრობაზე კეთდებოდა აქცენტი, მაგრამ მისი პოტენციალი საკმაოდ

დაბალია. დღეს კი უკრაინას გააჩნია შესაძლებლობა ჩრდილოატლანტიკური გაერთიანების ხელშეწყობით იქცეს მესამე ძალად, რომელიც ნატოს ინტერესების დამცველი იქნება არეალში. ამ პროცესების გათვალისწინებით, საქართველოსა და მოლდოვის ჩართულობით შეიქმნება ახალი რეგიონალური განაწილება, საიდანაც შვიდი ქვეყნიდან 6 ქვეყანა იქნება ერთი ინტერესების მატარებელი. აღნიშნული პროცესების გათვალისწინებით თუ შავი ზღვის არეალს ვუწოდებ ევროპის მიკრო რეგიონს ეს არ იქნება უხეში შეცდომა. რუსეთის ენერგო რესურსებზე დამოკიდებულება ევროკავშირის ქვეყნებისთვის პოლიტიკური ჩიხია, ამიტომ ისინი ალტერნატიულ ენერგო მომწოდებლებს ეძებენ კასპიისპირეთის ქვეყნებში, შავი ზღვა კი სატრანზიტო როლს შეასრულებს რუსეთის გვერდის ავლით (დივერსიფიკაცია). სამხრეთ კავკასიისა და უკრაინის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში გაწევრიანებით, ევროკავშირის მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, ამით რეგიონში პასიური პოლიტიკის გეზი შეიცვალა.

აშშ-ს გეოპოლიტიკურ კონტურებს შეგვიძლია მივაკუთნოთ აღნიშნული არეალი და აუცილებელია ავღნიშნოთ მისი პირადი ინტერესები ამ რეგიონის მიმართ. ამერიკის შეერთებული შტატები ამ არეალზე გავლენის დაკარგვით მის „სუპერ სახემწიფოს“ იმიჯს მსოფლიოში ეჭვქეშ დააყენებს. აშშ-ს ინტერესს განაპირობებს მისი გეოსტრატეგიული მდებარეობა ირანის, ერაყისა და ავღანეთის სახემწიფოებთან სიახლოვით. ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში შავი ზღვის ქვეყნების ჩართვა მისი სტრატეგიის ნაწილია, ასევე ირანთან ახლოს მდებარე რეგიონი აშშ-სთვის მაღალ ინტერესის მქონეა, რადგან მისი ამოგდებით სატრანზიტო პროექტებიდან მარტივი ხდება მასზე კონტროლი. თურქეთთან ურთიერთობის დაძაბვა ერაყის ქურთისტანთან დაკავშირებული პრობლემის გამო უარყოფით გავლენას ახდენს შავი ზღვის რეგიონზე, აქედან გამომდინარე აშშ-ს ინტერესია ურთიერთობების გაუმჯობესება თურქეთთან, რადგან ამ სახემწიფოს დიდი გავლენა აქვს ირანთან და ერაყთან დაკავშირებულ საკითხებზე. შავიზღვისპირა ქვეყნების გაერთიანებების ფორმატში მონაწილეობის მიუხედევად ძალთა არათანაბარი გადანაწილების გამო რეგიონში მცირე და დიდი

სახელმწიფოების ურთიერთობებში უნდობლობის მაღალი დონეა(მაგალითად საქართველოსა და რუსეთის კონფლიქტი). არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში რეგიონის მცირე სახემწიფოები ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებას ცდილობენ, ამიტომ მათივე უსაფრთხოებისთვის სტიმულს აძლევენ გარე აქტორის შემოყვანას. სწორედ ამიტომ აშშ-ს ცალკეული ინტერესები ალიანსის ფორმატის გარეთ საკმაოდ დიდია, რადგან მისი მთავარი მოწინააღმდეგე ამ არეალში იმყოფება და რუსეთის საზღვრებთან ახლოს ყოფნა მისი გეოსტრატეგის ნაწილია. ჩრდილო-ატლანტიკური გაერთიანებისთვის შავიზღვისპირეთის არეალის პოლიტიკური მნიშვნელობა ისეთივე მაღალია, როგორც სატრანსპორტო-ენერგეტიკული ინიციატივა.

დღეს აქტორებს შორის მიმდინარეობს სასტიკი ბრძოლა შავიზღვისპირეთის არეალის ქვეყნებისთვის. ზოგიერთმა მათგანმა საკუთარი ინტერესების გატარება ვერ მოახერხა, ამიტომ ისინი აქტუალური ქმედებებით ცდილობენ დაიცვან საკუთარი მიზნები რეგიონში. რუსეთის სახემწიფო ცივი ომის შემდგომ სწრაფად ვერ გადაეწყო და შესაბამისად მისი გავლენები ადგილობრივ რეგიონში შესუსტებული იყო. თუმცა დღეს ის იბრუნებს საკუთარ გავლენას რეგიონშიც და მსოფლიოშიც. ის, რომ აგრესიული პოლიტიკას არ ერიდება ეს დაგვანახა 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს მიმართ განხორციელებულმა აგრესიამ და უკრაინის რეგიონების ანექსირებამ. მისთვის შავიზღვიპირეთის რეგიონი, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს ეს პირველმა მსოფლიო ომმაც დაგვანახა. რუსეთისთვის სამხრეთელი მეკავშირეების დამაკავშირებელ დერეფანს წარმოადგენს შავი ზღვის არეალი, ასევე მისი კავშირების განვითარებას ენერგო რესურსებით მდიდარ სპარსეთის ყურესთან. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე სერბეთსა და კოსოვო კონფლიქტმა, როგორც ყოველთვის ბანაკები გაყო ორ ნაწილად. ჩრდილოატლანტიკურმა მხარემ აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა, ხოლო რუსეთი სერბეთს უცხადებს მოკავშირეობას, შესაბამისად სერბეთის სახემწიფო არ აღიარებს მის დამოუკიდებლობას. რუსეთი ამ ქმედებით ცდილობს კონფლიქტის კერები გააღვივოს და დასავლეთის ქვეყნები

დაუპირისპიროს ერთმანეთს. ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონებიც მოიაზრებიან აქტუალურად ამ გეოპოლიტიკურ კონტურებში, რადგან დაძაბული პოლიტიკური პროცესები საჭიროებს მოკავშირე აქტორების ახლო ჩართულობას. ამ ცხელი წერტილებიდან გეოგრაფიულად ყველაზე ახლოს შავი ზღვისპირეთის არეალი იმყოფება.

მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკაში მისი ადგილი, რომ საკმაოდ მაღალია ეს მეტყველებს რეგიონალური ბლოკებისა და ფორუმების მასშტაბებზე: „black sea force" – მიზანია საზღვრის უსაფთხოება, ანტიტერორისტული და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება. მისი წევრი ქვეყნებია:

-რუსეთი

-საქართველო

-უკრაინა

-თურქეთი

-ბულგარეთი

-რუმინეთი[3]

შავიზღვისპირა არეალის გეოპოლიტიკური კონტურები კასპიის ზღვისა და ბალტიის ზღვას შორის მდებარეობს, რომელსაც უდიდესი პოტენციალი გააჩნია მრავალ ასპექტში.

ცენტრალური აზიის ქვეყნები და ჩინეთიც ცდილობს საკუთარი ინტერესების გატარებას შავ ზღვაში, მაგრამ მათი მცდელობები ჯერჯერობით უშედეგოა. მათი მიზანია საკუთარი პოლიტიკისა და მოკავშირე ქვეყნების სიის გაფართოება. ეკონომიკური დოვლათისა და უსაფრთხოების ჭრილში, ევროპის რეგიონთან დამაკავშირებელი სატრანზიტო დერეფნის ქონა მათთვის საციცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სატრანზიტო გზების დივერსიფიკაციით ისინი აღარ იქნებიან მხოლოდ რუსეთზე დამოკიდებულნი, ცენტრალური აზიის ქვეყნების

[3] Sergiu CELAC. POLICY PAPER; WHY THE BLACK SEA MATTERS;June2016 http://newstrategycenter.ro/wp-content/uploads/2016/04/Policy-Paper-NSC-and-Center-for-American-Sea-Power.pdf

პოლიტიკის წარმოება შავიზღვისპირეთის არეალში ახალისებს ისეთი აქტორის ჩართულობას, როგორიცაა ჩინეთი. მისთვისაც საკმაოდ მნიშვნელოვანია ამ არეალის გამოყენება საკუთარ გოსტრატეგიული მიზნებისთვის. დღეს ამ რეგიონში, მისი ხისტი პოლიტიკისა და გავლენის გამო, მთავარ მოკავშირედ კვლავ რუსეთი რჩება.

1.2 შავიზღვისპირეთის არეალის მნიშვნელობა „ცივი ომის“ პერიოდში

საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ მეორე მსოფლიო ომში, მას გაუმძაფრა იმპერიული ზრახვები მთელი მსოფლიოს გასასაბჭოებლად. ომგამოვლილი მსოფლიო საკმაოდ იყო დასუსტებული და არავის შესწევდა ძალა წინააღმდეგობა გაეწია გარდა აშშ-სი. სოციალისტური იმპერია საზღვრებს აქტიურად აფართოებდა. შავიზღვისპირეთის არეალი მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ ადგილს წარმოადგენდა მისთვის, რადგან სრუტეების კონტროლი სავაჭრო გზებზე კონტროლის მოპოვებასა და ხმელთაშუა ზღვაზე სამხედრო გავლენის ზრდა ნიშნავდა, ასევე წყნარ ოკეანეში გასვლას. აშშ კი თავის მხრივ მკაცრად ეწინააღმდეგებოდა სოციალისტური იდეოლოგიის განვითარებას მსოფლიოში და მათი ერთერთი პირველი დაპირისპირება ირანის ქვეყნის კომფლიქტი გახლდათ. ირანის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილების გადანაწილებით თითქოს დარეგულირდა მათი ურთიერთობები, მაგრამ რეგიონში მალევე თავი იჩინა ახალმა დაძაბულობამ სსრკ-ს მხრიდან ბალკანეთის ქვეყნების გასაბჭოებითა და თურქეთზე კოლოსალური ზეწოლის განხორციელებით. დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე „დომინოს თეორია“-ს გავრცელების რეალური საფრთხე დადგა, ამიტომ 1947 წელს აშშ-მ პირველად შავიზღვისპირეთის არეალში გამოიყენა „ტრუმენის დოქტრინა“-დ ცნობილი იგივე შეკავების თეორია. მისი მეშვეობით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის გავლენის გავრცელებას უშუალოდ სოციალისტურ საზღვრებთან. მისი თეორია

მიზნად ისახავდა შავი და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელ სრუტეების საბჭოთა ექსპანსიის შეჩერებას. სოციალისტური ექსპანსიის შეკავება მთელს სამხრეთ პერიმეტრს მოიცავდა. სრუტეების გამო თურქეთი ირანთან ერთად ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებად რჩებოდა. აშშ-ს ფინანსური დახმარების მიზანი თურქეთის ეკონომიკურ და სამხედრო პოტენციალის აღდგენა გახლდათ, რადგან მას შეძლებოდა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიისა და ექსპანსიის გავრცელების შეკავება. თურქეთი იდეალურ პლაცდარმს წარმოადგენდა „ნატო“-ს რაკეტების განთავსებისთვის, სწორედ ამიტომ მოხდა მისი გაწევრიანება ჩრდილო ატლანტიკური ალიანსში 1952 წელს.

აშშ-ს მეორე ნაბიჯი გახლდათ 1949 წლის თებერვალში მისი კონგრესის მიერ მიღებული კანონი „საექსპორტო კონტროლის შესახებ” გასაბჭოებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ, რომლის მიზანი იყო ვაჭრობის სფეროების შეზღუდვა სოციალისტურ ქვეყნებთან და სანქციების გატარება ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთსა და უნგრეთის მიმართ. 1950 წლიდან ამოქმედდა საკოორდინაციო კომიტეტი, რომელშიც აშშ-სთან ერთად ნატოს წევრი ქვეყნებიც შევიდნენ და მისი მიზანი იყო კომუნისტური რეჟიმის მქონე ქვეყნებში ექსპორტის კონტროლის დამყარება. ამერიკის შეერთებული შტატები ამ გზით ცდილობდა აღმოსავლეთ ევროპაში და ბალკანეთის ქვეყნებში სოციალისტური იდეოლოგიის შემცირებას.

1949 წელს დაიწყო სამოქალაქო ომი საბერძნეთში მთავრობის ჯარებსა (რომელსაც მხარს დიდი ბრიტანეთი და აშშ უჭერდნენ) და საბერძნეთის დემოკრატიული არმიას (ალბანეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი და საბჭოთა კავშირი უჭერდნენ მხარს) შორის. ის თურქეთთან ერთად სრუტეების ნაწილის გაკონტროლების საშუალებას იძლეოდა შესაბამისად მისი მნიშვნელობა ცივი ომის პერიოდში საკმაოდ დიდი იყო. საბერძნეთის დაკარგვით თურქეთი გახდებოდა თავდაცვის უუნარო კომუნიზმის წინაღმდეგ, ასევე თურქეთის დაცემით, საბერძნეთიც დიდი საფრთხის წინაშე დადგებოდა. ეს იყო რეგიონული დომინოს ეფექტი. ის ღიად მოითხოვდა მისი პოლიტიკური სისტემის მიღებას, რადგან დიდი

ბრიტანეთის ელიტა საკუთარ კოლონიურ საკუთრებად მიიჩნევდა და მასზე კონტროლის შენარჩუნებას ყველანაირი საშუალებით ცდილობდა, (უისტონ ჩერჩილის გარიგების იდეა სტალინს, რუმინეთისა და ბულგარეთის გავლენის პროცენტულობის დათმობა საბერძნეთის სანაცვლოდ) სტალინი საკუთარ მოქმედებას კი ბრიტანეთის საწინააღმდეგო პასუხად აფასებდა. ტრუმენის თეორიის დახმარებით აშშ-ს მთავრობამ საბერძნეთის ხელისუფლებასაც გაუწოდა დახმარების ხელი, რაც მას საშუალებას აძლევდა გაეძლიერებინა მისი როლი პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროებში, პირველ რიგში კი პოლიტიკურ სტაბილურობას მოუტანდა, 1952 წელს გახდა „ნატო"-ს წევრი ქვეყანა.

ზემოთ ხსენებული პროცესები ცხადყოფს შავიზღვისპირეთის არიელის ქვეყნების თითოეული სანტრიმენტის უდიდეს მნიშვნელობას ორივე მხარისთვის. ცივი ომის პერიოდში სწორედ ამ არეალიდან დაიწყო გეოპოლიტიკური თამაშები და ძალების გადანაწილება. მან საბაბი დაუდო ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიების ჩამოყალიბებას. შავი ზღვის არეალი შეგვიძლია მივიჩნიოთ საბჭოთა კავშირის აგრესიის შემაკავებელ ძალად, რადგან სწორედ ამ რეგიონის საზღვრებთან მოხდა მისი დასავლეთ-სამხრეთ ნაწილის შეჩერება.

1.3. გლობალიზაციის გავლენა შავიზღვისპირეთის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაზე პოსტ ბიპოლარულ პერიოდში.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობამ საფუძველი დაუდო საერთაშორისო ურთიერთობებში გლობალიზაციის განვითარებას აშშ-ს მხრიდან. მისი მიზანი იყო მსოფლიოში სოციალისტური იდეოლოგიის დაკნინება და განდევნა.შავი ზღვისპირეთის არეალის ქვეყნებში გლობალიზაციის განვითარება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სწრაფი ტემპებით დაიწყო. იმ ქვეყნებმა რომლებმაც დამოუკიდებლობა აღიარეს ისინი მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკურ ასპარეზზე სრულიად გამოუცდელები აღმოჩნდნენ და მათ

ჭირდებოდათ რეგიონალური თავისუფალი ვაჭრობისა თუ სუვერენიტეტის უსაფრთხოების ბლოკები. ბიპოლარული პერიოდში, როდესაც ერთმა მსოფლიო ძალამ (საბჭოთა კავშირმა) პოლიტიკური კოლაფსი განიცადა და დაიშალა, მსოფლიოში მეორე ძალა დარჩა აშშ-ს სახით, რომელმაც ევროკავშირთან ერთად ხელი შეუწყო გლობალიზაციის განვითარებას პოსტ-საბჭოური ქვეყნების რეგიონალურ ბლოკებში. მისმა ხელსაყრელმა გეოგრაფიულ ადგილმდებარეობამ და პოლიტიკურმა პროცესებმა დააჩქარეს საერთაშორისო გაერთიანებებში მონაწილეობის მიღება და ცალკეული რეგიონალური ორგანიზაციების ჩამოყალიბება. პოსტ ბიპოლარულ პერიოდში შავი ზღვის არეალის ქვეყნებმა შეიძინეს აღმოსავლეთის, დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი როლი. მათი სატრანზიტო მნიშვნელობა მსოფლიოსთვის იმდენად გაიზარდა, რომ ხელი შეუწყო რეგიონალური კომუნიკაციების განვითარებას და განაახლა ძველი აბრეშუმი გზის ანალოგი. გლობალიზაციის გავლენა ეკონომიკური თანამშრომლობა შეგვიძლია წარმატებულად შევაფასოთ, რადგან დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მიეცათ ალტერნატიული გზა (კასპიისპირეთისაგან) მიიღონ ენერგო რესურსები და აღარ იყვნენ მხოლოდ არასანდო პარტნიორზე (რუსეთზე) დამოკიდებულნი, თავის მხრივ აღმოსავლეთ რეგიონს აქვს შესაძლებლობა გაიტანონ საკუთარი რესურსები რუსეთისგან დამოუკიდებლად სხვადასხვა ალტერნატიულ ბაზრებზე. პოსტ ბიპოლარულ პერიოდში ევროკავშირის ეკონომიკური ურთიერთობის ინტერესების დამცველის როლი მიენიჭა ბალკანეთის ქვეყნებს, თურქეთთან ერთად. მის სატრანზიტო ფუნქციას ჩრდილოეთით რუსეთიც საკმაოდ აქტუალურად იყენებს, რადგან უკავშირდება ისეთ პარტნიორ ქვეყნებს, როგორიცაა ირანი და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. აბრეშუმის გზის აღდგენის მთავარი ინიციატორი გახლავთ ჩინეთი, რადგან ის ლიდერი სახემწიფოა ეკონომიკურ თანამშრომლობაში. მისთვის მნიშვნელოვანია რეგიონალურ ბაზრების დასაკავშირებელი გზის უსაფრთხოებაა და ტრანსპორტირების სისწრაფე. ამ გარანტიებს შავი ზღვის რეგიონალური ბლოკები უწყობენ ხელს,

რათა დააინტერესონ განვითარებული სახემწიფოები, მაგალითად: იაპონია, რომელსაც საკმაოდ ცხადი ინტერესები ამოძრავებს ამ რეგიონში, კერძოდ საკუთარი კომპანიებზე იტვირთოს გადაზიდვებისა და მომსახურების პროცესები.

შავიზღვისპირეთის არეალში აშშ-ს რამდენიმე საკუთარი მიზანი ამოძრავებს, იქედან გამომდინარე, რომ აშშ საკუთარი ბუნებრივი რესურსების 50% მოიხმარს და დანარჩენი 50% იმპორტით ავსებს, ამიტომ კასპიის ზღვის ენერგორესურსებით მდიდარი და შავი ზღვის სატრანზიტო პოტენციალი მისთვის მნიშვნელოვანია „შავი ოქროს“ მსოფლიო მომწოდებლების არასტაბილურობიდან გამომდინარე. შეერთებული შტატების მიზანია საკუთარი კომპანიების შეშვება შავი ზღვის რეგიონში, რომლებიც დიდ კაპიტალს დააბანდებენ, ამ რეგიონის ეკონომიკურ დოვლათს მაღალ საფეხურზე აწევენ, რაც განავითარებს ეკონომიკურ-სატრანზიტო დარგებს. მისი მიზანია გააძლიეროს ამ რეგიონის შემავალი ქვეყნების საზღვრები და სუვერენიტეტი, რადგან უზრუნველყოფილი იყოს თავისუფალი ვაჭრობისთვის სტაბილური გარემო.

გლობალიზაციის გავლენა პოსტ ბიპოლარულ პერიოდში პოსტ-საბჭოთა ქვეყნებზე დადებითად აისახა (რუმინეთი, ბულგარეთი და მათ შორის თურქეთი), რადგან საშუალება მისცა მათ გაეფართოებინათ კომუნიკაციები, სატრანზიტო პოლიტიკა ეწარმოებინათ, უსაფრთხოების ბერკეტები დაეხვეწათ და გაერთიანებულიყვნენ რეგიონალურ ბლოკებში(ევროკავშირსა და ნატოში). სამწუხაროდ ამ არეალის განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასიის განვითარებაში დასავლეთის ქვეყნები პასიურობდნენ, ამიტომ შავი ზღვის რეგიონში არ მოიპოვება ნატოსა და ევროკავშირის მსგავსი მტკიცე და განვითარებული რეგიონალური ბლოკები. რეგიონში ალტერნატიული გაერთიანებების სიმრავლის მიუხედავად მათი განვითარება ფართო მასშტაბებს ვერ ღებულობს.

„შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC)“-

1992 წლის 25 ივნისს დაარსდა შავი ზღვის 11 ქვეყნის ერთობლივი შეთანხმებით(აზერბაიჯანი, რუმინეთი, საქართველო, თურქეთი, მოლდოვა,

უკრაინა, სომხეთი, ალბანეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, რუსეთი, სერბეთი). დღეს ის შავ ზღვაზე ყველაზე ქმედუნარიანი გაერთიანებაა.

მისი ურთიერთთანაშრობლობის სფეროებია:

- ენერგო პროექტები და ენერგოუსაფრთხოება;
-ეკონომიკა და ვაჭრობა;
-მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება;
-ტურიზმში მიღებული გამოცდილების გაზიარება და განვითარება;
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ტრანსპორტირებისა და სატრანზიტო გზების შემუშავება;
- კომუნიკაცია;
- სტატისტიკისა და ინფორმაციის გაცვლა;
- მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება;
- გარემოს დაცვა;
- განათლება;
- ჯანდაცვა;
- სოფლის მეურნეობა;
- საგანგებო სიტუაციები;
- საბანკო და საფინანსო;
- ინსტიტუციონალური განახლებისა და მყარი მმართველობის საკითხებზე;
- საბაჟო საკითხებზე;
- კულტურის საკითხებზე;
- საორგანიზაციო საკითხებზე;
- უსაფრთხოების გეგმის შემუშავება;[4] [5]

„შავი ზღვის სინერგია(BSS)“

მისი მიზანია შავი ზღვისპირეთის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გამტკიცება. ამ ორგანიზაციის ძირითადი თანამშრომლობის სფეროებია:

[4] http://www.bsec-organization.org/bsec-at-glance

[5] http://www.bsec-organization.org/UploadedDocuments/BsecAtAGlance/Brochure%202018.pdf

- ეკონომიკა;
- სახემწიფოს დემოკრატიული მმართველობის სისტემის წახალისება;
- ტრანსპორტირება;
- ენერგეტიკა;
- საზღვაო ნაპირების მართვა და კონტროლი;
- გარემოს დაცვა;
- თევზჭერა;
- მიგრაცია;
- ორგანიზებულ დანაშაულთან ერთიანი ძალისხმევით ბრძოლა;
- კულტურა;

ამ ევროკავშირის რეგიონალურ გაერთიანების ინიციატივასთან ერთად, მისი სურვილია "BSEC"-სა და "BSS"-ს შორის დამყარდეს მჭიდრო თანამშრომლობა. "BSS"-ის წევრი ქვეყნებია: სომხეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, თურქეთი, რუსეთი, მოლდოვა, საბერძნეთი, საქართველო.[6]

„ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)" ევროკავშირის მისიაა სტაბილურობის, უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და დემოკრატიის ჩამოყალიბება, რომელიც გააუმჯობესებს ადამიანთა ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას. მისი წევრი ქვეყნებია, მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ერთად, საბერძნეთი და თურქეთი. "OECD"-ს გამოცდილებას იზიარებს ორგანიზაცია "მმართველობის და მენეჯმენტის გაუმჯობესების ხელშეწყობა(SIGMA)". "SIGMA"-ს წევრი ქვეყნები (საქართველო, ალჟირი, ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, კოსოვო, მაროკო, თურქეთი, სერბეთი, ეგვიპტე, ლებანი, ჩრ.მაკედონია, უკრაინა, მოლდოვა,

[6] The EU supports regional development in South-East Europe with its Black Sea Synergy initiative. By encouraging cooperation between the countries surrounding the Black Sea, the synergy offers a flexible forum for developing practical region-wide solutions to address regional and global challenges.; 07/05/2019; https://eeas.europa.eu/arctic-policy/eu-arctic-policy/346/black-sea-synergy_en

იორდანია, მონტენეგრო, ტუნისი) ცდილობენ „OECD“-ეს გამოცდილებით დაუკავშირდნენ მსოფლიო თავისუფალი ვაჭრობის არეალსა და ევროკავშირს.[7] „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სფეროები (DCFTA)“ თავისუფალი ვაჭრობის ფორმატია ევროკავშირის ზონასთან პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის (საქართველო, მოლდოვა, უკრაინა);[8]

პროგრამა“INOGATE”- ევროკავშირმა ჩამოაყალიბა 1999 წელს, რომლის მიზანია შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ქვეყნების ენერგო ურთიერთანამშრომლობის განივთარება. ამ პროგრამის გეგმებშია: აღნიშნულ ორ რეგიონში ახალი ენერგო პროექტებისთვის ინვესტიციების მოზიდვა, ტრანსპორტირება, ენერგეტიკის ბაზრის ინტეგრაცია ევროკავშირის ქვეყენების ბაზრებთან, ენერგიის მიწოდების უსაფრთხოების უზრნუველყოფა.მისი წევრი ქვეყნებია (საქართველო, აზერბაიჯანი, ბელარუსია, თურქეთი, თურქმენეთი, მოლდოვა, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, უკრაინა, ყირგიზეთი).[9]

,,თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო (TIKA)“ თურქეთის ინიციატივაა სამხრეთ კავკასიის, ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება.[10]

ეს ის ძირითადი ძლიერი ორგანიზაციებია, რომელიც ამ რეგიონის განვითარებისთვის დაარსდა. ამ გაერთიანებების უმეტესობა დაკავშირებულია მსოფლიოს წარმატებულ რეგიონალურ ბლოკებთან, მაგრამ მათ მიღწეულ შედეგებს აღნიშნულ რეგიონში ვერ ვუწოდებთ წარმატებულს, ისმის კითხვა რატომ?

---

[7] The OECD Organisation for Economic Co-operation and Development; OECD 2008; https://www.oecd.org/newsroom/34011915.pdf

[8] http://www.3dcftas.eu/about

[9] ACTIVITIES, RESULTS AND IMPACT OF THE EUROPEAN UNION'S INOGATE PROGRAMME; JUNE 2015. http://www.inogate.org/documents/IMAR_2015_ver_WEB.pdf

[10] produced by Finar Kurumsal 2014; TURKISH COOPERATION AND COORDINATION AGENCY; TURKISH DEVELOPMENT ASSISTANCE 2013; https://www.tika.gov.tr/upload/publication/KYR_FRAE_2013_uyg9.pdf

პასუხი მიზეზშედეგობრივია, შავიზღვისპირეთის ქვეყნებში მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური დაბრკოლებები მათ საგარეო პოლიტიკაზეც აისახება. ისინი მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით აფასებენ პროცესებს და საერთო რეგიონალური სივრცის გასავითარებლად არაფერს აკეთებენ.

გლობალიზაციის გავლენა კონფლიქტური კერების წარმოქმნას უშლის ხელს, რადგან ეკონომიკური ურთიერთობის დამოკიდებულება იმდენად მაღალია, რომ არცერთ მხარეს არ აწყობს დაუპირისპირდეს ერთმანეთს. რუსეთისა და ევროკავშირის ქვეყნების მაგალითი ნათლად ასახავს ამ მოსაზრებას, მათი ეკონომიკური კომუნიკაციების გადაჯაჭვულობა აფერხებს დაპირისპირებას. ენერგეტიკული რესურსების 90%-ით რუსეთი ამარაგებს ევროკავშირის ქვეყნებს, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობის ზრდა კი მსოფლიოში მოწინავეა, შესაბამისად რუსეთისათვის უდიდესი საექსპორტო ბაზარია. ეკონომიკური კავშირი ხელს უწყობს ქვეყნებსა და ბლოკებს შორის ჯანსაღ ურთიერთობებს პოსტ ბიპოლარულ პერიოდში. ეს იდეა არ შეიძლება ბოლომდე ჭეშმარიტად მივიჩნიოთ რუსეთის ხისტი პოლიტიკის რეგიონში. მისი აგრესიული პოლიტიკა მეზობელი ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას ამუხრუჭებს, რადგან მხოლოდ ის იყოს ექსპორტიორი.

თავი II. კავკასიის რეგიონის ენერგოპოლიტიკა და საერთაშორისო უსაბრთხოება: კომფრონტაციიდან პარტნიორობამდე

2.1. ენერგო გეოპოლიტიკის არსი და მისი მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკისთვის

21-ე საუკუნეში მსოფლიო უფრო მეტ ენერგორესურსებს მოიხმარს, ვიდრე ოდესმე. გლობალიზაციის პერიოდში ბუნებრივი რესურსები ეკონომიკის განვითარების ძირითადი ბერკეტია, მაგრამ მეორე მხრივ ენერგო მომხმარებელი სახელმწიფოებისთვის საფრთხის შემცველია სუვერენიტეტის უსაფრთხოების საკითხში. დღესდღეობით ენერგოუსაფრთხოება ენერგო პოლიტიკასთან ერთად იმდენად აქტუალურია და მწვავე, რომ მთელს მსოფლიოს მოიცავს. სახელმწიფოები რომელთაც არ გააჩნია საკუთარი რესურსები, დგანან დიდი დილემის წინაშე, რადგან მათი ძირითადი საზრუნავია დაბალ ფასში მოიძიონ ალტერნატიული გზა ნავთობისა და გაზის მისაღებად. ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნები ეკონომიკურ დოვლათთან ერთად ხდებიან გეოსრატეგიულად მნიშვნელოვანნი.[11]

იმისთვის, რომ ენერგო გეოპოლიტიკის არსი მკაფიოდ გამოვკვეთოთ საჭიროა ჩამოვთვალოთ ენერგო უსაფრთხოების სფეროები:

-პოლიტიკური ენერგოუსაფრთხოება;

-ეკონომიკური ენერგოუსაფრთხოება;

-სამართლებრივი ენერგოუსაფრთხოება;

-ტექნოგენური ენერგოუსაფრთხოება;

[11] გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და "თანამშრომლობითი უსაბრთხოების" თეორია მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები; 2.2 ეკონომიკური უსაბრთხოების ემერგეტიკული ასპექტები: ენერგოგეოპოლიტიკა; გვ.126-129 2017 წელი

ენერგო რესურსების გამოყენება იზრდება და მსოფლიოში მწვავედ დგას მისი ამოწურვის საკითხი. სამხრეთ კორეის მწვანე ეკონომიკა ალტერნატიულ საშუალებას იძლევა ჩაანაცვლოს ტრადიციული ენერგო რესურსები მზისა და ქარის ენერგიის გამოყენებით. ევროკავშირის სახელმწიფოებში დღემდე მიმდინარეობს აქტუალური დავა გარემოს დაცვის საკითხებზე და ატომური სადგურების გაუქმებაზე, შესაბამისად მათი მოთხოვნილება ყოველწლიურად მატულობს თხევად გაზზე.

ბუნებრივი რესურსების მოპოვებას, განვითარებასა და გავრცელებას ხელი შეუწყო თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკურ-პოლიტიკურმა პროცესებმა. სატრანზიტო რეგიონებისა და ქვეყნების როლი აქტუალური გახდა ენერგო გეოპოლიტიკაში. დღეს თითოეული სახელმწიფოსთვის ენერგო უსაფრთხოების პოლიტიკის წარმოება ეროვნული უსაფრთხოების ტოლფასია, შესაბამისად ყველაზე დიდი აქცენტი „შავ ოქრო"-ზე და ბუნებრივ აირზე კეთდება. მილსადენების პროექტები და მათი მიმართულებები მსოფლიო ენერგო გეოპოლიტიკურ დინამიურ პროცესებს მარტივად დაგვანახებს.[12]

ნავთობი და გაზი გეოპოლიტიკურ ჭრილში

დღეს ეს ორი ბუნებრივი რესურსი წარმოადგენს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძირითად ასპექტს. მასზეა დამოკიდებული ქვეყნების საგარეო პოლიტიკა, გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, უსაფრთხოება და ბიზნესის ყველაზე მომგებიან სფერო, როგორც ცალკეული კომპანიებისთვის, ისე სახელმწიფოსთვის. მათი მომპოვებელი ქვეყნების ბაზარზე ინდივიდუალური ფასებში ვაჭრობამ 1960 წელს გამოიწვია სანავთობო შოკი, რადგან მტრულად განწყობილი მომპოვებელი ქვეყნების საბაზრო კონკურენცია არ იყო ჯანსაღი. ორგანიზაცია „ოპეკ" საერთაშორისო ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც შეიქმნა 1960 წელს კარტელის ხელოვნურად შემცირებული ფასების პოლიტიკასთან

[12] გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და "თანამშრომლობითი უსაბრთხოების" თეორია მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები; 2.2 ეკონომიკური უსაბრთხოების ემერგეტიკული ასპექტები: ენერგოგეოპოლიტიკა; გვ.126. 2017 წელი

საბრძოლველად. ის აერთიანებს ნავთობის წამყვანი ექსპორტიორი ქვეყნების უმრავლესობას: ალჟირი, ანგოლა, ირანი, ერაყი, ქუვეითი, ლიბია, კატარი, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული არაბეთის ემირატები, ეკვადორი და ვენესუელა. მისი მეშვეობით ენერგო გეოპოლიტიკური განზომილება მსოფლიოში შეიცვალა, რადგან „შავი ოქრო“ მცირე იმპორტიორი ქვეყნებისთვისაც ხელმისაწვდომი რესურსი გახდა, ეს კი ხელს უწყობს უკეთესი ეკონომიკურ-პოლიტიკური ფონის შექმნას მსოფლიოში. მის ფარგლებში ასევე განიხილებოდა შეუფერხებელი სტაბილური რესურსების მიწოდება და ექსპორტიორი-იმპორტიორი ქვეყნების უსაფრთხოება.[13]

რუსეთისა და ევროპის ქვეყნების ენერგო კომუნიკაცია საუკუნეებს ითვლის. რუსეთიდან დასავლეთის მიმართულებით მიმავალი მილსადენების რაოდენობა ცხადყოფს, თუ რამდენად იყვნენ და არიან ევროპის ქვეყნები დამოკიდებულნი რუსეთზე.

„ბრატსტვო“ - გაზსადენმა ფუნქციონირება 1984 წელს დაიწყო(მილსადენი სხვა სახელებითაც არის ცნობილი: ურენგოი-პომარი-უჟგოროდის მილსადენი/დასავლეთ-ციმბირის მილსადენი/ტრანს ციმბირის მილსადენი). ის რუსეთის ყველაზე გრძელ მილსადენს წარმოადგენს, რომელიც უკრაინის გავლით ევროპაში გაზის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს. დასავლეთ უკრაინის გავლით მილსადენი გაზით ამარაგებს ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. „ცივი ომის“ პერიოდში გაზსადენის მშენებლობამ აშშ-ს და დასავლეთ შორის გარკვეული უთანხმოება გამოიწვია, რადგან აშშ დასავლეთ ევროპის, რუსულ გაზზე დამოკიდებულების გაზრდის წინააღმდეგი იყო. [14]

---

[13] 2019 Organization of the Petroleum Exporting Countries; Member Countries https://www.opec.org/opec_web/en/about_us/25.htm

[14] [14] მამუკა კომახია. მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (I ნაწილი); აპრილი 2015წ. https://postsovietwatch.com/2015/04/21/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D/

„იამალ-ევროპის გაზსადენი“ 1997 წლიდან მუშაობს და დასავლეთ ციმბირს, ბელორუსიისა და პოლონეთის გავლით გერმანიის ტერიტორიას და შემდგომში დასავლეთ ევროპას (ნიდერლანდები, ბელგია, დიდი ბრიტანეთი) აკავშირებს.[15]

„დრუჟბა“ - მილსადენი სრულად 1964 წელს ამოქმედდა და ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ნავთობსადენის სისტემაა. მილსადენის ჩრდილოეთის განშტოება ბელორუსიის გავლით პოლონეთსა და გერმანიას ამარაგებს, სამხრეთის განშტოება კი, უკრაინის გავლით ცენტრალურ ევროპას, ბალკანეთის ქვეყნებსა და იტალიას. მილსადენის წარმადობა დღეში 1.2-1.4 მლნ ბარელია. ნავთობსადენი რუსული და ასევე ყაზახური ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირების მთავარი მარშრუტია.[16]

უკრაინის საკითხმა შეცვალა ენერგო გეოპოლიტიკური პროცესები მსოფლიოში, რუსეთი მას ვეღარ გამოიყენებს ევროკავშირის ქვეყნებთან დაკავშირებაში. ევროკავშირის ქვეყნები კი მხოლოდ ერთ ექსპორტიორ ქვეყანაზე არიან დამოკიდებულნი, აქედან გამომდინარე მათ უწევთ დივერსიფიცირებული გზების მოძიება. რუსეთი ცდილობს ევროპის ქვეყნებთან დაკავშირებას, უკრაინის გვერდის ავლით ახალი ენერგო პროექტებით. რუსეთის საგარეო ეკონომიკა და პოლიტიკა დამყარებულია ენერგო რესურსების ექსპორტზე, ამიტომ ის რეგიონში პირველი ექსპორტიორი ქვეყანაა. მან დასავლეთის ქვეყნებთან დასაკავშირებლად ალტერნატიული ენერგო პროექტები წარმოადგინა.

„ჩრდილოეთის ნაკადი 2“ - რუსეთისა და გერმანიის ერთობლივი პროექტია. ის წარმოადგენს გაზსადენს, რომელიც სრულად 2012 წელს ამოქმედდა. მილსადენით გატარებული გაზის პოტენციური მომხმარებლები არიან დანია, ნიდერლანდები, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც გერმანია ბალტიის ზღვის გავლით, მილსადენით

---

[16] მამუკა კომახია. მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (I ნაწილი); აპრილი 2015წ. https://postsovietwatch.com/2015/04/21/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D/

პირდაპირ იღებს რუსულ გაზს. გაზსადენი გვერდს უვლის ბელორუსია-პოლონეთის და უკრაინის სახმელეთო მარშრუტებს, რითაც რუსეთის სატრანზიტო ქვეყნებზე დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შესუსტდა. გაზსადენის მშენებლობამდე უკრაინა რუსული გაზის 80%-ს საკუთარ ტერიტორიაზე ატარებდა, ამჟამად ეს მონაცემები 50-60 %-მდე შემცირდა. [17] [18]

„ლურჯი ნაკადი" - რუსული პროექტია, რომელიც ევროპის ქვეყნების რუსეთზე დამოკიდებულების გაზრდას ისახავს მიზნად. პროექტის განხორციელების შემთხვევაში მილსადენი უზრუნველყოფს შავი ზღვის გავლით რუსული გაზის ტრანსპორტირებას ბულგარეთში, რუმინეთში, საბერძნეთში, იტალიაში, სერბეთში, უნგრეთსა და ავსტრიაში. მილსადენის მშენებლობის შემთხვევაში: პირველი, რუსეთის გავლენა ცენტრალურ ევროპასა და ბალკანეთის ქვეყნებზე კიდევ უფრო გაიზრდება, მეორე, შესუსტდება უკრაინის სატრანზიტო ფუნქცია[19].

ევროკავშირის ქვეყნების საერთო ინტერესების გაზიარების მიუხედავად მათი დამოკიდებულება რუსეთის არასანდო ენერგო პოლიტიკის მიმართ მაინც განსხვავებულია. ევროკავშირი, ნათელი მაგალითია თუ რამხელა მნიშვნელობა ენიჭება ენერგოუსაფრთხოების შემუშავების გეგმას. მათი მწარე წარსულის გამოცდილებით, დღეს ისინი ცდილობენ დივერისიფიკაციული გზების მოზიდვას, რეგიონში უშუალო პრობლემის დადგომამდე. მათი ენერგო გეოპოლიტიკა კარგად ჩანს მათ მიერ შემუშავებულ „თეთრ წიგნ"-სა და „მწვანე წიგნ"-ში. მათი გამოცდილების მიუხედავად ევროკავშირის ქვეყნებს ერთმანეთისგან განსხვავებული ხედვები აქვთ, რომელიც რუსეთთან დამოკიდებულებაშიც გამოიხატება. ამის კარგი მაგალითია საბერძნეთისა და თურქეთის ურთიერთობა, რომელიც ეწინააღმდეგება თურქეთის მხრიდან მილსადენის მშენებლობას,

[17] dr. alan riley; Nord Stream 2: Understanding the Potential Consequences; 2018; https://www.scribd.com/document/382182771/Nord-Stream-2-Understanding-the-Potential-Consequences

[18] Nord Stream 2; A new export gas pipeline running from Russia to Europe across the Baltic Sea. http://www.gazprom.com/projects/nord-stream2/

[19] Blue Stream; Russian natural gas supplies to Turkey. http://www.gazprom.com/projects/blue-stream/

ევროპის მიმართულებით. ასევე სერბეთის კრიტიკული დამოკიდებულება „ევროკავშირი“-ს მიმართ, მაგრამ ლიტვა-პოლონეთის რადიკალურად უარყოფითი დამოკიდებულება რუსერთის მიმართ. აღნიშნულიდან გამომდინარე განვიხილოთ ევროპის საგარეო პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში:

-საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ესპანეთი საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებს პოლიტიკაზე მაღლა აყენებენ, ამიტომ ისინი ინარჩუნებენ განსაკუთრებულ ურთიერთობას რუსეთთან.

-ჩეხეთი, დანია, ირლანდია, ლატვია და სხვები ფოკუსირდება ეკონომიკაზე, თუმცა ნაკლებად ეშინიათ რუსეთის.

-ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ფინეთი გამოირჩევიან კარგი დამოკიდებულებით რუსეთთთან, რადგან საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებს პოლიტიკაზე მაღლა აყენებენ.

-კვიპროსი, საბერძნეთი და სერბეთი წარმოადგენენ რუსების ინტერესებს ევროკავშირში. მათი ტერიტორიალური დავის საგანი ქმნის ევროკავშირის ქვეყნებთან და აშშ-თან დაძაბულ მდგომარეობას.

-ლიტვა და პოლონეთი როგორც წინა საუკუნეებში მტრულად განწყობილნი არიან რუსეთთან.

ევროკავშირის ბაზარი კი საკმაოდ ძვირი ფასის გადამხდელუნარიანია, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთისაგან ალტერნატიულ მყიდველ ჩინეთზე, რომელიც არ აპირებს იგივე საბაზრო ფასის გადახდას. ჩინეთის ენერგო რესურსები გამომუშავების ძირითადი ალტერნატივას ქვანახშირი წარმოადგენს, მაგრამ გარემოს დაცვის პირობებში ის კოლოსალურ ზიანს აყენებს არამარტო მას არამედ რეგიონის ეკოლოგიას. ჩინეთი რეგიონში პირველ ადგილზეა გაზის მოხმარების სტატისტიკური მაჩვენებლით, შესაბამისად რუსეთისთვის იდეალურ ალტერნატივას წარმოადგენს. ბოლოს განვითარებული მოვლენებზე დაყრდნობით რუსეთმა და ჩინეთმა 10 წლიანი მოლაპარაკების შემდეგ მიაღწიეს

შეთანხმებას, რომელიც რეგიონში ახალი პოლიტიკური პროცესების განვითარების საშუალებას იძლევა.[20]

რუსეთი ევროკავშირის ბაზრის დაკარგვის შემთხვევაში, მხოლოდ ჩინეთზე დამოკიდებული ვერ იქნება ნავთობის დაბალი ფასის გამო, ამიტომ აღმოსავლეთ რეგიონის ბაზრის ათვისებას ცდილობს. აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებში ბუნებრივი რესურსებზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება, შესაბამისად მათი პოლიტიკა გეზს იღებს ექსპორტიორი ქვეყნის მოზიდვაში, რომელიც დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. მონღოლეთის მზარდი ეკონომიკა იწვევს ინტერესის საგანს ნავთობისა და გაზის მომპოვებელ ქვეყნებში. მისი ეკონომიკა რეგიონში ყველაზე განვითარებად დინამიკას განიცდის, ხოლო ქვეყანა დამატებით ენერგო რესურსების იმპორტს საჭიროებს. რუსეთი ასევე ცდილობს დაუკავშირდეს მწვანე ეკონომიკით ცნობილი კორეის სახემწიფოს, რომელიც მიუხედავად საკუთარი ეკონომიკური პოლიტიკასა, მაინც საჭიროებს ენერგო რესურსების იმპორტს ქვეყანაში. ასევე რუსეთს, ჩრდილოეთ კორეის მზარდი მოსახლეობის დაკმაყოფილებაც აქვს განზრახული. ექსპორტიორი ქვეყანა კი ამით, აღნიშნულ რეგიონებზე მტკიცე კონტროლს მოიპოვებს, საკუთარი მილსადენების გატარებით კი, უფრო დაუკავშირდება, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურადაც. რუსეთ-ჩინეთის გეოსტრატეგიოლ კავშირს კიდევ უფრო გაამყარებს.[21]

იაპონია მსოფლიოში ენერგო რესურსების გამოყენების კუთხით, ერთერთი პირველი ქვეყანაა. მათი ენერგო ეკონომიკა მთლიანად დამყარებულია იმპორტზე. ჰიროსიმას ატომური სადგურის დაზიანების შემდეგ, ქვეყანამ ენერგიის ატომური გზით მოპოვება შეამცირა. რუსეთის გაზით მომარაგება შესაძლებელია

[20] გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და "თანამშრომლობითი უსაბრთხოების" თეორია მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები; 2.2 ეკონომიკური უსაბრთხოების ემერგეტიკული ასპექტები: ენერგოგეოპოლიტიკა; გვ.138-146. 2017 წელი

[21] გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და "თანამშრომლობითი უსაბრთხოების" თეორია მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები; 2.2 ეკონომიკური უსაბრთხოების ემერგეტიკული ასპექტები: ენერგოგეოპოლიტიკა; გვ.138-146. 2017 წელი

დადგეს დღის წესრიგში, მიუხედავად მათი პოლიტიკური წინააღმდეგობებისა (კურილიის კუნძულები).[22]

აშშ საკუთარი ბუნებრივი რესურსების მხოლოდ 50% აწარმოებს, მიუხედავად ამისა ის მსოფლიოს ექსპორტიორ ქვეყნებში მოწინავე ადგილს იკავებს. მსოფლიოს ენერგო ბაზარზე ნავთობმომპოვებელ ქვეყნებზე უდიდესი გავლენა აქვს, საჭიროებისას არ ერიდება სანქციების გამოყენებას სხვა სუპერ სახემწიფოებთან შედარებით. აშშ-ს პრეზიდენტის დონალდ ტრამპის უახლესი განცხადება ახალ ენერგო გეოპოლიტიკურ პროცესებს ქმნის, განსაკუთრებით ევროკავშირის ქვეყნებში. ამ განცხადების მიზანი გახლდათ, რომ აშშ მოამარაგებს ევროპის რეგიონს თხევადი გაზით ტანკერების საშუალებით, ასევე ის დაპირდა, რომ რუსეთის მსგავსად ენერგო რესურსებით არასდროს მოახდენს მანიპულირებას.

მსოფლიო ენერგო გეოპოლიტიკური პროცესების წარმმართველი ჯერჯერობით აშშ და რუსეთი გახლავთ. მათი ინტერესები თითქმის ყველა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში იკვეთება. ვენესუელა ერთი-ერთი უდიდესი ნავთობმომპოვებელი ქვეყანა გახლდათ, მაგრამ დღეს სამოქალაქო ომი მძვინვარებს ორივე აქტორის ფარული ხელშეწყობით. ისინი განსაზღვრავენ ბაზრის დარეგულირებას, სანქციების დაწესებას (აშშ სანქციები ირანის მიმართ). მათი ენერგო გეოპოლიტიკა არამარტო ექსპორტსა და თავისუფალ ვაჭრობას მოიცავს, არამედ საკუთარი პოლიტიკური გავლენების და ინტერესების გატარებას.

[22] გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და "თანამშრომლობითი უსაბრთხოების" თეორია მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები; 2.2 ეკონომიკური უსაბრთხოების ემერგეტიკული ასპექტები: ენერგოგეოპოლიტიკა; გვ.138-146. 2017 წელი

2.2 კავკასია-კასპიისპირეთის ახალი რეგიონული დანიშნულება და შავი ზღვის უსაფრთხოების განზომილება

1991 წლის 8 დეკემბრამდე ანუ საბჭოთა კავშირის დაშლამდე აღნიშნული არეალის დიდი ნაწილი მის საზღვრებში შედიოდა, ამიტომ მისი რეგიონალური დანიშნულების პერსპექტივები საკმაოდ ვიწრო იყო. კომუნისტური იმპერიის დაშლის შემდგომ პერიოდში კი რეგიონი პოლიტიკური კოლაფში მოექცა, რადგან რესპუბლიკებს შორის საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. შიდა თუ გარე დაპირისპირების ფონზე, ასევე განვითარებული ქვეყნების პასიურობის გამო წარმოუდგენელი იყო ამ არეალში რეგიონალური თეორიის შემუშავება.

XXI საუკუნის დასაწყისიდან გარე ძალების ხელშეწყობით კომპლიქტური კერები დროებით გაიყინა. შედარებით მშვიდობიანმა გარემომ, მოსახლეობის მოთხოვნილების მატებამ ენერგო რესურსებზე და მსოფლიო გეოპოლიტიკურმა პროცესებმა ამ არეალს გაუჩიანა ახალი რეგიონული დანიშნულების პერსპექტივები, მაგრამ სანამ განვმარტავთ სამომავლო პროცესებს მანამდე განვიხილოთ კასპიისპირეთის ქვეყნების ენრგო პოლიტიკა.

კასპიისპირეთის შიდა ენერგო პოლიტიკა:

კასპიისპირეთის სახელმწიფოების ენერგო პოლიტიკა საკმაოდ განსხავებულია, რადგან ხუთი ქვეყნიდან სამი პოსტ საბჭოთა ქვეყნებს მიეკუთვნება (აზებაიჯანი, ყაზახეთი, თურქმენეთი), ერთი თავად რუსეთია, მეხუთე კი მისი მოკავშირე ირანია. რუსეთი და ირანი საერთო ინტერესებს გამტარებლები არიან რეგიონში, ამიტომ მათი გავლენა ხელს უშლი დანარჩენ 3 ქვეყანას აწარმოონ დამოუკიდებელი ენერგო პოლიტიკა. ამ გავლენის თავის დასაღწევად ბაქოში წამოაყენეს ახალი დანაწევრების ინიციატივა, რომელიც გულისხმობს საზღვრის გასწვრივ გადანაწილების პრინციპს (რუსეთ-ყაზახეთის მაგალითის მსგავსად), თეირანში ზღვის თანაბარ გაყოფის პრინციპს მიესალმებიან, რადგან მათ ზღვის აკვატორიის ყველაზე მცირე ნაწილი რჩებათ. აშშ-ს ჩარევით მიღწეული იქნა შეთანხმება, თუმცა რჩება შუეთახმებელი საკითხები ირანის მხრიდან. აზერბაიჯანსა და ყაზახეთთან შედარებით თურქმენეთი საკმაოდ დამოკიდებულია რუსეთზე,

ამიტომ ნაკლებად ღებულობს მონაწილეობას ახალ პროექტებში,თუმცა დასავლეთ ევროპის ქვეყნების დაინტერესება მის საბადოების მიმართაც მაღალია, სამომავლო პერსპექტივებში აქტუალურად განიხილება მსოფლიო ბაზრების ენერგო მომარაგება.[23]

კასპიისპირეთის არეალის რეგიონული დანიშნულება:

კასპიისპირეთის ენერგო პოტენციალი კონტინენტის აღმოსავლეთ ნაწილს აქვს ათვისებული. დასვლეთ ევროპის ქვეყენბი კი აშშ-სთან ერთად ცდილობენ კონკურეცია გაუწიონ ამ რეგიონის აქტორებს (რუსეთს, ირანსა და ჩინეთს) და გახდნენ უფრო მეტად ენერგო დამოუკიდებელნი, ვიდრე არიან.[24] იმისთვის, რომ მარტივად დავინახოთ აქტორები როგორ იყენებენ კასპიის ზღვის ქვეყნების ენერგო რესურსებს სათავისოდ, საჭიროა ჩამოვთვალოთ რამდენიმე ძირითადი მილსადენები.

განვიხილოთ რუსეთი-აზიის მილსადენები:

„ცენტრალური აზია-ცენტრის გაზსადენის სისტემა“ - ეს მილსადენები რუსეთის ენერგო გიგანტს „გაზპრომს“- ს ეკუთვნის, რომელიც საექსპორტო დანიშნულებისაა და ამარაგებს ევროპის ქვეყნებს გაზით. იგი თურქმენეთიდან იღებს სათავეს, ყაზახეთის გავლით უკავშირდება რუსეთის მილსადენებს. ექსპლუატაციაში 1969 წელს შევიდა და მისი წარმადობა წელიწადში 44 მლრდ კუბური მეტრია. წლების მანძილზე ცენტრალური აზიის ერთადერთი საექსპორტო პროექტი გახლდათ, ეს კი რეგიონს რუსეთზე პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოკიდებულს ხდიდა.[25]

---

[23] რევაზ ბახტაძე, სივილ ჯორჯია; კასპიის ზღვა – "განხეთქილების ვაშლი" რეგიონში; 29/04/2002; https://civil.ge/ka/archives/127633

[24] მამუკა კომახია; მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (ნაწილი II); მაისი 2015. https://postsovietwatch.com/2015/05/25/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%9E-2/

[25] მამუკა კომახია; მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (ნაწილი II); მაისი 2015. https://postsovietwatch.com/2015/05/25/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-

დღემდე მსაგავსი ქმედებებით რუსეთი ხელს უშლის ცენტრალური აზიის ქვეყნებს პირდაპირ თუ ირიბი გზებით ალტერნატიული ბაზრების მოძიებაში. მისი გავლენები მსოფლიო პოლიტიკაში საკმაოდ მცირდება, ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია ცენტრალური აზიის ქვეყნების რეგიონალური დანიშნულება ხელოვნურად დაამუხრუჭოს.

განვიხილოთ ირანი-აზიის მილსადენები:

„თურქმენეთ-ირანის გაზსადენი" (ქიორფეზე-ქურთ ქუის გაზსადენი) - ირანისა და რუსეთის მოკავშირეობის, მოუხედავად ეს რეგიონში პირველი დივერსიფიკაციული (რუსეთის გვერდის ავლით) პროექტი იყო. იგი 1997 წელს ამოქმედდა და წლიური წარმადობა 55 მლრდ კუბური მეტრია. ისლამური სახემწიფოს ძირითადი ენერგო მარაგები მის სამხრეთ ნაწილშია თავმოყრილი, თუმცა ტრანსპორტირების ხარჯები გაცილებით მეტი უჯდება ვიდრე თურქმენითდან იმპროტირებული გაზის საფასური. ირანმა მილსადენების გაყვანის ხარჯების 90 % დახარჯა, რაც შემდეგ თურქმენეთმა გაზის მიწოდებით აუნაზღაურა. ამ პროქტს ირგვლივ ყოველთვის ისმის თურქმენეთის მხრიდან უკმაყოფილება, იგი თეირანს ადანაშაულებს არაკეთილსინდისიერად გადახდაში.[26]

ირანი ასეთი ქმედებებით ცდილობს არ დაკარგოს რეგიონზე ზეგავლენა და „დიდი თამაშებს" არ გამოეთიშოს. აშშ და ევროკავშირის ქვეყნების მიერ დაწესებული სანქციები კიდევ უფრო ასუსტებს თეირანის რეგიონალურ ინტერესებს, ამიტომ მისი საგარეო პოლიტიკა დღეს ხავსის მოჭიდებას გავს.

ცენტრალური აზია-ჩინეთი მილსადენები:

„ყაზახეთ-ჩინეთის ნავთობსადენი" - 2006 წლიდან ყაზახეთის კასპიის სანაპირეობიდან იღებს სათავეს და ჩინეთის სინძიანის პროვინციაში მთავრდება,

---

%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%9E-2/

[26] [27] [28] მამუკა კომახია; მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (ნაწილი II); მაისი 2015. https://postsovietwatch.com/2015/05/25/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%9E-2/

მისი წლიური წარმადობა 20 მლნ ტონაა. იგი პიონერია რეგიონში, რომელიც ჩინეთს ნავთობით ამარაგებს.[27]

„ცენტრალური აზია - ჩინეთის გაზსადენი“ (თურქმენეთ-ჩინეთის გაზსადენი) - 2009 წელს ამოქმედდა აღნიშნული პროექტი, რომელიც პირველია რეგიონში ვინც გაზით ამარაგებს ჩინეთს, მისი წლიური წარმადობა 55 მლრდ კუბური მეტრია. მილსადენი თურქმენეთიდან იღებს სათავეს ყაზახეთისა და უზბეკეთის გავლით სინძიანის (ჩინეთი) პროვინციაში ჩადის. თურქმენეთისთვის ამ გზით გაზის დივერსიფიკაციას ახდენს, რადგან აქამდე მხოლოდ რუსეთთან და ირანთან ქონდა კავშირები.[28]

ჩინეთი საკუთარი განვითურებული ბაზრით ცდილობს დააინტერესოს ცენტრალური აზიის ქვეყნებით, რათა ამ ქმედებით მოიპოვოს ზეგავლენა. ისარგებლოს რუსეთისა და ირანის გავლენების შესუსტებით და ჩამოყალიბდეს მთავარ ძალად რეგიონში.

დღეს მსოფლიოს ინდოეთის სახით კიდევ ერთი ახალი ძალა ემატება, რომელიც აქტიურად ცდილობს საკუთარი ამბიციური ინტერესების გატარებას რეგიონში. ამ სახელმწიფოს მოსახლეობის რაოდენბამ, ჩინეთის მსგავსად შექმნა უდიდესი სამომხმარებლო ბაზარი.

ინდოეთის ენერგო რესურსები მწირი მარაგების გამო ვერ ახერხებს საკუთარი ბაზრის დაკმაყოფილებას და დამოკიდებულია იმპორტზე, ამიტომ გასაკვირი არა, რომ მის ინტერესებში კასპიის ზღვის საბადოებიც მოექცა. მის მიზნებს ცენტრალური აზიის ქვეყენბის მიმართ კარგად ამყარებს „ტრანსავღანური“ მილსადენის იდეა, რომელსაც 1995 წელს ჩაეყარა საფუძველი. იგი თურქმენულ გაზს ავღანეთისა და პაკისტანის გავლით მიაწვიდის ინდეოთს, თუმცა ეს პროექტი შეფერხდა რეგიონში არსებული დაპირისპირების გამო.[29]

---

[29] მამუკა კომახია; მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (ნაწილი II); მაისი 2015. https://postsovietwatch.com/2015/05/25/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-

კავკასია-კასპიისპირეთი ჯაჭვური პრინციპი:

ზემოთ აღნიშნული მასალების საფუძველზე შეეგვიძლია დავინახოთ კასპიისპირეთის არეალი რამდენად მნიშვნელოვანი რეგიონია აღმოსავლეთ-სამხრეთ აზიის ქვეყნებისთვის. მისი რეგიონალური დანიშნულების პოტენციალის მაშტაბები დიდი ხანია გაცდა ხუთი ქვეყნის ინტერესებს. კონტინენტის დასავლეთ ნაწილის სახელმწიფოები, აშშ-სთან ერთად ცენტრალური აზიის საბადეობის მიმართ დიდ ინტერეს იჩენენ, რადგან ის მთავარი დივერსიფიკაციის გზაა.[30] ამ შემთხვევაში კავკასია კასპიისპირეთისა და ევროპის რეგიონის დასაკავშირებელ სატრანზიტო დერეფანს წარმოადგენს. კავკასია-კასპიისპირეთის გაერთიანებით იქმნება ჯაჭვური პრინციპი, რომელიც ახალ რეგიონალურ დანიშნულებას აძლევს ამ რეგიონს. დღეს ყველა ექსპერტი თანხმდება და ამას არც დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერები უარყოფენ, რომ ეს რეგიონები მათ სივრცეში მოიაზრება. ევროპის განვითარებული ქვეყნები აშშ-სთან ერთად კავკასიასა და ცენტრალუ აზიის ქვეყენბის შიდა ეკონომიკურ-პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ცდილობენ ჩარევას. ასეთი ქმედებებით ცდილობენ სტაბილური და უსაფთხო გარემო შექმნან, რადგან მათ გრძელვადიანი ინტერესები გააჩნიათ. ახლა კი დროა განვიხილოთ ის ძირითადი მილსადენების პროექტები, რომელიც მარტივად დაგვანახებს ევროპის რეგიონისთვის ახალი რეგიონალიზაცის მნიშვნელობას.

აუცილებელია აქაც ავღინშონთ „TRACECA" (TRANSPORT CORRIDOR EUROPE-CAUCASUS-ASIA) ორგანიზაცია, რომელიც აკავშირებს კასპიისა და კავკასიის ქვეყნებს საერთაშორის ბაზარზე.

„ნაბუკო" – 2003 წელს წამოაყენეს ეს პროექტი ევროკავშირის ქვეყნებმა. მისი დანიშნულება გახდა, კასპიისპირეთის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს (თურქმენეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ირანი) გაზით მოემარაგებინა ევროპა.

%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%9E-2/

[30] ნიკა ჩიტაძე - ნატო ჩრდილატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.15&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.8.9

„ნაბუქოს“ პროექტი ჩრდილოეთ (ბაქო-თბილის-ჯეიჰანი) - სამხრეთ (ირანი-თურქეთი) განშტოებებით თურქეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ავსტრიის გავლით დაუკავშირდებოდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს. ამ პროექტით მოხერხდებოდა გვერდის ავლა და ევროკავშირის ქვეყნებს მისცემდა საშუალებას რუსეთის გაზის იმპორტი შეემცირებინათ, თუმცა გაზასდენის იდეა რუსეთის წინააღმდეგობისა და ევროპის ქვეყნების განსხვავებული აზრთა გამო გაურკვეველი ვადით გადაიდო.[31]

„ტრანსკასპიური მილსადენი“ - 2006 წლის რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებამ, ამ პროექტის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. თურქმენეთი-ყაზახეთის მილსადენები სამხრეთ კავკასიის გავლით უზრუნველყოფენ ევროპის გაზით მომარაგებას. დაგეგმილი მილსადენის სიმძლავრე 30 მლრდ. კუბურ მეტრს შეადგენს. იგი ბაქოში „სამხრეთის“ (ბაქო-თბილისი-ერზუმის) გაზსადენს შეურთდება და მისი გავლით „ტრანს-ანატოლიურ“ მილსადენს.[32]

კიდევ არსებობს სხვადასხვა იდეები, მაგრამ ეს პროექტები ნაკლებად მოიზრება საერთაშორისო ენერგო პროექტების ნუსხაში. მიზეზი ერთია, მიუხედავად ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს ინტერესების გააქტიურება მხოლოდ მცირედი შედეგების მომტანია ამ რეგიონებში. რუსეთისა და ირანის გავლენა არეალში ძალზედ დიდია, ასევე მათზე ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან რეგიონის პატარა პერსპექტიული ქვეყნები. საჭიროა განვითარებული ქვეყნების უფრო მეტად გააქტიურება, მაგრამ ისმის კითხვა როგორ?. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა „შავი ზღვის უსაფრთხოების განზომილება“ განვიხილოთ.

შავი ზღვის უსაფრთხოების განზომილება:

კავკასია-კასპიისპირეთის რეგიონალურ დანიშნულების პერსპექტივებზე საუბარიც კი ზედმეტი იქნება, თუ შავი ზღვის უსაფრთხოებას არ განვიხილავთ. ის

---

[31] [32] მამუკა კომახია. მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (I ნაწილი); აპრილი 2015წ. https://postsovietwatch.com/2015/04/21/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D/

წარმოადგენს იმ ქვეყნების სანაპიორებს, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ისეთ ალიანსებში როგორიცაა „ნატო“, შესაბამისად აქვთ ამბიცია იყივნენ მშვიდობის გარანტი რეგიონში. შავი ზღვის სანაპიროებს ინაწილებენ ქვეყნები, სადაც პოლიტიკურ-ეკონომიკური დაპირსიპირებები პიკს აღწევს. რუსეთი, რომელსაც განზრახული აქვს არა მარტო ამ ზღვის არამედ მთელი მსოფლიოს ბატონობა ბუნებრივია, რომ ის აგრესიული პოლიტიკის გამტარებელი იქნება. მის შეკავებას „ცივი ომის“ პერიოდიდან ცდილობენ შავი ზღვის არეალთან „ნატო“-ს წევრი ქვეყნები, თუმცა დღეს მათი ინტერესები გაიზარდა და კავკასია-კასპიისპირეთის არეალთან გადაინაცვლა. მათვის პირველი ამოცანა სტაბილური გარემოა, რომელიც მიზნად ისახავს კომფლიქტური კერების დარეგულირებას. „ნატო“-ს წევრი ქვეყნებისა და აშშ-ს ინიციატივით ჩამოყალიბდა არა ერთი არეალის რეგიონალური ბლოკი, მათი მიზანი პოლიტიკური-ეკონომიკური გარემოს მოწესრიგება გახლდათ, თუმცა ისეთი იმპერიების პირისპირ როგორიც რუსეთია საკმაოდ უსუსურად გამოიყურებია. ყოველწლიურად იმართება საერთო სწავლებები, სამხედროების გადამზადება, ეკონომიკიის განვითარების ხელის შეწყობა და ა.შ, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნები პასიურობენ. საჭიროა ინვესტიციების გაორმაგება, ბაზრის ათვისება დასვლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ს კომპანიების მიერ, რათა შეიქმნას მტკიცე ეკონომიკური გარემო. სამხედრო გაერთიანების ხელშეწყობა ისეთის როგორიც „ნატო“-ა. ტერორიზმთან ბრძოლის გამოცდილების გაზიარება. საჭიროა უშუალოდ კონფლიქტების დარეგულირებაში მიღოონ მონაწილეობა აქტიურად. შეიქმნას საერთო სივრცე, რადგან რეგიონიდან განიდევნოს სხვა აქტორების ინტერესები. ამ ყველა პროცესის გატარებას ზღვის ჩრდილოეთ-დასავლეთი ნაწილი საჭიროებს, აღმოსავლეთ ნაწილში კი ყველა პრობლემა მინიმუმადე არის დაყვანილი.

შავი ზღვის უსაფრთხოების განზომილების განვითარება საშუალებას მიცემს ამ კონკურენტულ სატრანზიტო ჭიდილში გაიმარჯვოს. კავკასია-კასპიისპირეთის ალტერნატიული გზებია:

1) რუსეთის ინიციატივა ყაზახეთი-რუსეთის მიმართულებით ევრიპის დაკავშირება.
2) ცენტრალური აზია (თურქმენეთის) , ირანისა და თურქეთის გავლით დასავლეთან დაკავაშირება.

აღმოსავლეთიდან მოდის დახმარების ხელი „ნატო“ და „ევროკავშირი“ სახით. ეკონიმიკური თვალსაზრისითაც მის გარეშე ასევე რთულად წარმოსადგენია ჯაჭვური პრინციპის განვითარება, რადგან დასვლეთ ევროპის მიდიდარი კომპანიები მოახერხებენ ამ ქვეყნების გაძლიერებას და იმ პროექტების დაფინანსებას, რომელიც სამომავლო იდეებშია.

2.3 კავკასიის ენერგოუსაფრთხოების სისტემა და ახალი გამოწვევები

1990-იან წლებში საბჭოთა იმპერიის დააშლის შემდგომ ომებით გამოწვეული ენერგეტიკული-ეკონომიკური ინფრასტრუქტურა როგორც საქართველოსი, ასევე აზერბაიჯანსა და სომხეთში ნულის ტოლი იყო. კავკასია დღესაც რთული გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე სხვადასხვა საფრთხების წინაშე დგას, აქედან ერთერთი და რეგიონისთვის მნიშვნელოვანია ტრანზიტული გზების უსაფრთხოება. ამ რეგიონში უსაფრთხოების მნიშვნელობის მცნება საკმაოდ მაღალია, რადგან მასში შემავალი თითქმის ყველა ქვეყანა ერთმანეთან საომარ მოქმედებებში იმყოფება. საჭიროა გასულ წლებს გადავხედოთ, რომ დავინახოთ ამ პრობლემის სიმწვავე. 2008 წლის 5 აგვისტოს ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მილსადენზე მოხდა აფეთქება თურქეთის ნაწილში, შესაბამისად 3 კვირა დაჭირდა მის განახლებას. არსებობს მტკიცე მოსაზრება, რომ ეს რუსული კიბერ თავდასხმის შედეგი იყო. გავიხსენოთ შემდეგი ფაქტი რუსული აგრესიიდან 2008 წლის 8 აგვისტო 5 დღიანი ომი საქართველოსთან, 7 აგვისტოს კი რუსეთის ავია ძალებმა კვლავ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენთან ჩამოაგდეს

ორი ბომბი, თუმცა არცერთია აფეთქებულა. 2008 წლის მოვლენბა კიდევ ერთხელ დაადასტურა სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკული დერეფნის პრობლემების არსებობა.[33]

რეგიონის მეორე „ბომბი“ ყარაბაღის კონფლიქტია. 90-იან წლებში სწორედ ყარაბაღის კომფლიქტმა არ მიცა საშუალება აზერბაიჯანს საკუთარი სანავთობო პოლიტიკა განევითარებინა. ის წარმოადგენს კავკასიის, ნავთობ მომპოვებელ ქვეყანას, ასევე რეგიონისა და კასპიისპირეთის დამაკვშირებელ სახელმწფოს. მისი მეშვეობით სამხრეთ კავკსაიას მხოლოდ ტრანზიტული როლი არ უჭირავს.

ერთერთ რეგიონალურ საფრთხედ ტერორიზმიც მიიჩნევა, არსებობს საშიშროება ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან. ისტორია ინახავს არა ერთ მაგალითს.

რეგიონში ენერგოუსაფრთხოებაზე ზრუნვა 1995 წლიდან იწყენბა საქართველოს „ენერგეტიკულ ქარტია“-ში გაწევრიანების შემდეგ, მას 1997-1998-ში აზებაიჯანი და სომხეთი შეურთდნენ. „ენერგეტიკული ქარტია“ მიზნად ისახავს სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობის ენერგეტიკულ პერსპექტივების განვითარებას და ყველა მისი პროცესის განხილვა მომპოვებლი სახელმწიფოებიდან მომხმარებლებამდე. აღნიშნული წლებიდან მოყოლებული ევროკაშირის მხირდან ჩამოყალიბდა ახალი ინტერესები რეგიონის მიმართ და რეგიონში ნავთობის მოპოვების ხელშეწყობა. დასავლეთის ქვეყნები თავის მხრივ პოულობენ დივერისიფკაციულ გზას, რეგიონში მონოპოლიის დასამარცხებლად.

შემდეგ ფაზას შეგვიძლია ვუწოდოთ კავკასიის ენერგო უსაფთხოების განვითარება და ახალი გამოწვევბი. სატრანზიტო როლის აღქმა თვითონ რეგიონის სახელმწიფოებისთვის ჯერ კიდევ სიახლეა, შესაბამისად ევროკავშირის ქვეყნები აქტიურად მუშაობენ ამ სახელწიფოების განვითარების სხვადასხვა სფეროებში. ისინი ცდილობენ დააჩაქარონ ქვეყნების ინტეგრაცია „ევროკავშირს“-

[33] თამარ პატარაია; ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის; გვ1-8
http://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2015/03/energy_geo-final.pdf

ა და „ნატო“-ში, რადგან ყველა ასპექტში სწორედ ეს გახლავთ მათი უსაფრთხოების გარანტი. სატრანზიტო დერეფნის გამოწვევასთან ერთად რეგიონი ნავთობ მომპოვებელია, ამიტომ საჭიროა ჩამოვთვალოთ ის ახალი გამოწვევები, რომელიც განამტკიცებს მის ენერგოუსაფრთხოებას.

„TRACECA” (TRANSPORT CORRIDOR EUROPE-CAUCASUS-ASIA) – 1993 წელს ჩაეყარა საფუძველი ქალაქ ბრიუსელში, მისი მთავარი მიზანი იყო ცენტრალური აზიის ქვეყნები კავკასიის გავლით ევროპის სახელმწიფობეთან დაეკავშირებინა. ის უნიკალური გაერთიანებაა, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები აფინანსებენ. ორგანიზაციის მთავარ ინტერესის არეალს სწორედ კავკასიის სატრანზიტო დერეფანი წარმოადგეს. მისი განვითარების მთავარ სატრანსპორტო აქსპეტს დაემატა თავისულაფი ვაჭორბის სფეროც. „TRACECA” - ს დაარსების თავდაპირველი იდეა გახლდათ სატრანზიტო ქვეყნებს შორის განევიტარებინათ ის სფეროები, როგორიცაა: საზღვირის გადაკვეთის წესები და ტარიფების საერთო გადახდის მექანიზმის შემუშავება.[34]

უაფრთხოების მრავალფეროვანი სისტემები დანერგვა ამ რეგიონიშ ახალი გამოწვევაა, რათა შეიქმნას მიმზიდველი სატრანსპორტო არეალი გადაზიდვებისთვის.

„ბაქო-თბილის-ყარსის“ რკინიგზა - იგი წარმოადგენს რეგიონალურ დანიშნულების პროექტს, სადაც 2007 წლის 7 იანვარს მოხდა შეთანხმება და დღესაც არ არის ბოლომდე დასრულებული. მისი მიზნებში შედის აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთში ბუნებრივი რესურსების გადაზიდვა, ასევე ამ ხაზე გადმოინაცვლებს „TRACECA” - ც, ცენტრალური აზიის ტვირთებიც და თურქეთიდან კასპიის ზღვის მიმართულებაც. ხაზის გრძელვადიანი გათვლებით მისმა ტვირთბრუნვამ 17 მლ ტონამდე უნდა მიაღწიოს.

[34] არჩილ გეგეშიძე; TRACECA-ს პროცესის შემდგომი მხარდაჭერა; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.7&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.8.4

მისი ერთერთი მიზანი სწორედ ენერგოუსაფრთხოების განვითარებაა რეგიონში, რადგან მასზე დამოკიდებული იქნება რეგიონის წამყვანი სახელწიფოებიც (თურქეთი).

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“ - მილსადენი 2005 წელს ამოქმედდა, რომელიც აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით თურქეთს უკავშირდება. ნავთობსადენის მიმართ უარყოფითი პოზიციები იყო სხვა აქტორების მხრიდან, მაგრამ აშშ-ს მიზანი იყო აზერბაიჯანის განთავისუფლება რუსეთ-ირანის ზეგავლენისგან. მისი ხელშეწყობით მოხდა ამ ალტერნატიული პროექტის განხორციელება.

თურქეთის ტერიორიაზე მილსადენის გაყვანას თვითონ მოითხოვდა, რადგან კასპიური რესურსებიც ამ ნავთობსადენს შეურთდება სამომავლოდ. მისი მხრიდან ასეთი მაშტაბური პროექტის თქმა საკუთარი ინტერესების დასუსტებას გამოიწვევდა.

„სამხრეთ კავკასიის მილსადენი“ (ბაქო-თბილისი-ერზერუმის / შაჰ-დენიზის მილსადენი) - იგი 2006 წელს ამოქმედდა, მისი სათავე აზერბაიჯანია, საქართველოს გავლით თურქეთის ქალაქ ერზერუმში ჩადის. მისი სამომავლო პერსპექტივებს კასპიის მარაგების შემოერთება წარმოადგენს. გაზის წლიური წარმადობა 8.8 მლრდ. კუბური მეტრია.[35]

„TAP“ (ტრანს-ადრიატიკის მილსადენი) და „TANAP“-ის (ტრანს-ანატოლიის მილსადენი) - ეს გრანდიოზული პროექტი სათავეს იღებს აზერბაიჯანიდან საქართველოსა და თურქეთის გავლით უკვაშირდება სამხრეთ ევროპის ქვეყნებს (საბერძნეთს, ალბანეთს, იტალიას), პროექტის დასრულბის ზუსტი დრო დაპრკოლებების გამო გაურკვეველია. ამ მილსადენით ევროპა პირველად მოახერხებს დივერისიფიკაციული გზით მიიღოს ენერგო რესურსი, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან წინ გადაგმული ნაბიჯს რეგიონალური

[35] მამუკა კომახია. მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (I ნაწილი); აპრილი 2015წ. https://postsovietwatch.com/2015/04/21/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D/

ენერგოუსაფრთხოებისთვის. მონოპოლიას წყალი უფრო მეტად შეუდგება, როდესაც კასპიისპირეთის რესურსები დაემატება აღნიშნულ მილსადენს.

„ბაქო-სუფსას“ მილსადენი (დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენი/დასავლეთის ადრეული ნავთობის მილსადენი) - სანგაჩალას (აზერბაიჯანი) აკავშირებს სუფსის (საქართველო) ტერმინალთან 1999 წლიდან. დივერსიფიკაციის ასპექტში მას სამომავლო პერსპექტივები საკმაოდ მაღალი აქვს, რადგან სუფსიდან შეძლებს შავი ზღვის გავლით დაუკავშირდეს ევროკავშირის ქვეყნებს.

“თეთრი ნაკადის“ პროექტის (საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის გაზსადენი) - დღევანდელ პირობებში საკმაოდ საინტერესო პროექტია, რადგან რუსეთთან დაპირისპირებული სახელმწიფოები მომარაგდებიან აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით, ერთი ნაწილი რუმინეთი ევროპა, მეორე კი უკრაინა-პოლონეთი. მისი მიერთება „ბაქო-სუფსის“ მილსადენზეც არის შესაძლებელი.

რუსეთი სამხრეთით საქართველოს გავლით ამარაგებს სომხეთს ენერგო რესურსებით, ასევე ნაწილი ირანიდანაც შედის სომხეთში. მას მოქმედი ატომური სადგურიც გააჩნია, რომლიც ნარჩენბსაც იყენებს. სომხეთი გამოთიშულია ტრანზიტული არეალიდან, ამიტომ ისიც გამოთქვამს უკმაყოფილებას აზერბაიჯანის რეგიონალური დანიშნულების სახემწიფოდ ჩამოყალიბებაში.[36]

აღნიშნული პროექტები კავკასიის რეგიონს აძლევს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების საშუალებას. „ევროკავშირი“-სა და „ნატო“-ს ალიასნების მიერ თანმიმდევრული ეტაპების დაცვა კი ახალი გამოწვევებში აყენებს რეგიონს. მაგალითად საქართველო რეგიონში ყველაზე დაახლოებულ მოკავშირეს წარმოადგენს, აზერბაიჯანის რესურსების ინტერესების მიუხედავად ის კრიტიკას ვერ უძლებს სიტყვის თავისუფლების ასპექტში. განვითარების ახალი გამოწვევები

[36] თამარ პატარაია - ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის. გვ 2-8
http://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2015/03/energy_geo-final.pdf

დასავლეთი ევრიპის ქვეყნებისთვის მრავალფეროვანია და მხოლოდ პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებს არ ეხება. რეგიონის ახალი გამოწვევების ტემპი უსწრებს მის განვითარების ტემპს, ესენია სატრანზიტო დერეფნს უსაფრთხოება, ენერგოუსაფრთხოება, ახალი პროექტების გაყვანა, გაყინული კომფლიქტური კერების მოლაპარკებების დაწყება მის მოსაგვარებლად. მათი უსაფრთხოების განმტკიცება. რეგიონალური ბლოკებში გაერთიანება ენერგოუსაფრთხოების ერთერთი სისტემის ნაწილია:

„სუამი - GUAM“ შესაძლოა რეგიონში გახდეს წამყვანი ორგანიზაცია უსაფრთხოების ფარგლებში. ბოლო დროს განვითარებული პროცესების გათვალისწინებით ამ ორგანიზაციას აქვს პოტენციალი, რომ რეგიონს ძლიერ გაერთიანებად ჩამოუყალიბებს. ის „დსთ“-ს ანალოგია და მისი წევრი ქვეყნებია:

-აზერბაიჯანი;

-საქართველო;

-უკრაინა;

-მოლდოვა;

ასევე კავკასიის ენერგოუსაფრთხოების განვითარების ერთ-ერთ სისტემად შიდა ენერგორესურსების გამოყენება განიხლება. მისი პოტენციალის გათვალისწინებით საკმაოდ დიდი მარაგი გააჩნია. ჰესების მეშვეობით გამომუშავებელი ელექტოროენერგია მას საშუალებას მიცემს ენერგო იმპორტი შემციროს ცალკეულ ქვეყნებში და ექსპორტი განვითაროს. ესეც უსაფრთხოების ერთერთი გარანტი იქნება ამ რეგიონისთვის. ამის კარგი მაგალათია საქართველოში მიმდინარე ჰესების მშენებლობები, ამით ის შეძლებს გამომუშავებული ენერგის ექსპორტზე გატანას სხვა ქვეყნებს გახდის მასზე დამოკიდებულეს, ეკონომიკური განვიტარების პოტენციალი მოიმატებს და რეგიონულ დონეზე სტაბილური გარემო შეექმნება.

თავი III. კავკასის რეგიონული ინტეგრაცია შესაძლებლობები და რუსეთის ფაქტორები

3.1 კავკასიის ენერგოუსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები

კავკასიის ენერგოუსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტების უკეთესად წარმოდგენისთვის, საჭიროა მისი რეგიონალური ფორმატების განსაზღვრა:

(AGA) მცირე სამხრეთკავკასიური განზომილება - რამდენადაც წარმოუდგენელი არ უნდა იყოს, სამხრეთ მცირე კავკასიის ფორმატი არის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელსაც მხარას უჭერენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ამ ქვეყნების დაძაბული ურთიერთობის მიუხედავ ბოლო 15 წელია მაინც განიხილება ბილიტარული კავშირები (საქართველო-სომხეთი / საქართველო -აზერბაიჯანი). ეს ფორმატი გარკვეულ წილად დაპირსპირებული მხარეების დარეგულირებას უსვამს ხაზს და რამდენად მოხერხდებს რეგიონალურ ფორმატის ეფექტურობას.[37]

ევროკავშირისა მიერ მცირე რეიგონის მიმართ გაწეული მოქმედებები შეგვიძლია დადებითად შევაფასოთ, რადგან მათი პოლიტიკა უფრო გააქტიურებულია და ცდილობენ ჩაერიონ კონფლიქტების დარეგულირებაში, ამის კარგი მაგალითია მცდელობა გაეროს, ეუთოსა და მინსკის შეთანახმებების შენარჩუნება. თუმცა უნდა აღნიშნოს, რომ ასეთ ფორმატი შედეგის მომტანი არაა სამხრეთ კავკასთვის, რადგან მას ბევრი ხელშემშლელი ფაქტორი ახალვს და იგი ხშირად „მუხრუჭდება“ ამას კი შედეგები ან საერთოდ არ მოაქვს, ან იმდენად მცირეა აღნიშვნაც არ ღირს.[38]

[3738] ალექსანდრე რუსეცკი; საერთაშორისო რეგიონალური განზომილებანი და მათი შესაბამისი ფორმატები საქართველოსათვის; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.7&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.6.1

(AGAT) აზერბაიჯანი - საქართველო - სომხეთი - თურქეთი ანუ დიდი სამხრეთ კავკასიის განზომილება - სამხრეთ კავკასიის ასეთი გაგება შედარებით წარამატებულია, რადგან მხოლოდ თურქეთს აქვს ევროკავშირის გაწევრიანების კანდიდატობის სტატუსი, შესაბამისად დანარჩენ ქვეყნებს მისი განვითარების გამოცდილება გამოადგებათ. გეოგრაფიულადაც თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილი სამხრეთ კავკასიას ეკუთვნის. თურქეთი მიესალმება ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებას. ამ 4 ქვეყანის გაერთიანება ერთ ფორმატში მისაღებია იმ მიზეზის გამო, რომ ისინი მიისწარაფვის მშვიდობიანი გარემოს შექმნისკენ, შესაბამისად კოპენჰაგენის სტანდარტების საერთო სტანდარტიზაციისკენ და ევროკაშირის გაერთიანებისკენ.[39]

(AGAT+) - აზერბაიჯანი - საქართველო - სომხეთი - თურქეთი და რუსეთის ფედერაცია - ეს ფორმატი საკმაოდ აქტიურად განიხილება რუსეთის მხრიდან, რადგან მისთვის უმნიშვნელოვანესია ორ ზღავს შუა მდებარე სამხრეთ კავკასია. ის ცდილობს ჩაანაცვლოს გარე აქტორების ინტერესები და მხოლოდ მისი ზეგავლენის ქვეშ მოექცეს.[40]

(GIA1) საქართველო - ირანი - სომხეთი - ამ ქვეყნებს შორის 2006 წლის შეხვედრამ ახალი იდეის შექმნას დაუდო საბაბი, კერძოდ ელექტრომომარაგებაზე. უკრაინსა და რუსეთის დაპირესპირებიდან გამომდიანრე, უკრაინამ გამოთქვა სურვილი ირანიდან მიიღოს ენერგო რესურსები. ეს პროექტი შესაძლოა ორი სცენარით განვითარდეს:

ირანი-სომხეთი-საქართველო-რუსეთი-უკრაინა-ევროპა

ირანი-სომხეთი-საქართველო-შავი ზღვა-უკრაინა-ევროპა

რუსეთი რათქმაუნდა ყველა ალტერნატიული ენერგო პროექტის წინააღმდეგი არის რეგიონში, მისთვის დაუშვებელია მისგან ალტერნატიული

---

[39][40] [41] ალექსანდრე რუსეცკი; საერთაშორისო რეგიონალური განზომილებანი და მათი შესაბამისი ფორმატები საქართველოსათვის; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.7&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.6.1

მილსადენების გატარება, ამიტომ მისი შემოთავაზება პირველ შემთხვევაში „გაზპრომი“-ის შეთანხმების გარეშეც შესაძლებელი იქნება. ეს რუსეთის მხრიდან წარმოადგენს უხეში პოლიტიკური ზეგავლენის გამოყენებას მცირე რეგიონის ქვეყნების მიმართ.[41]

(GIA2) საქართველო-ირანი-აზერბაიჯანი - ესეთ რეგონალურ განაწილებას ენერგო რესურსების გატარების ინტერესი ახალავს თან. აღნიშნულის ფუძემდებელი უკრაინა გახლავათ, რომელიც საკმაოდ არის დაინტერესებული ირანისა და კავკასიის გაზასადენების პროექტებით. ამ რეგიონალური განაწილებით ნაკლები პერსპექტივაა, რადგან ირანსა და აზერბაიჯანს შორის სულ უფრო მძაფრი ხდება ნეგატიური პოლიტკა ერთმანეთს მიმართ, აზერბაიჯაინის მხრიდან ენერგო პროექტების გათვალისწინებით აღარ საჭიროებს ირანი ჩარევას. ასევე ირანის გაზის მაღალი ფასიც ხელ შემშელი ფაქტორია.[42]

(RGT) რუსეთის ფედერაცია - საქართველო - თურქეთი - ამ ქვეყნების თანამშრომლობის პერიოდში აშშ-სა და ევროკავშირის მხირდან 2004 წელს აჭარის კრიზისის დარეგულირება მოხდა, ამიტომ შესაძლოა აფხაზეთის კონპილიქტის მოგვარება შეძლოს. ჩრდილო-დასვლეთი სახმელოთო კომუნიკაციების განვითარებამ შესაძლოა წაახალის თურქი ბიზმესმენები აფხაზეთში, ასევე სამაჩაბლოს კონპლიქტის დარეგულირებაც მოიაზრება აღნიშნულ რეგიონალურ ფორმატში, რადგან რუსეთს ერთადერთი სამხრეთ დერაფანი აქვს, საიდანაც სომხეთ-ირანსა და თურქეთს უკავშირდება. ჯერჯერბოით ამ რეგიონალური ფორმატის განზომილება ბევრ ეჭვს ბადებს.[43]

(AGT) აზერბაიჯანი - საქართველო - თურქეთი - ამ რეგიონის ყველაზე წარმატებული ფორმატი გახლავთ. ამ ქვეყნების შეთანხმებით მრავალი სატრანზიტო პროექტი განხორციელდა:

---

[42] [43] ალექსანდრე რუსეცკი; საერთაშორისო რეგიონალური განზომილებანი და მათი შესაბამისი ფორმატები საქართველოსათვის; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.7&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.6.1

- ბაქო-თბილისი - ჯეიჰანიშ მილსადენი
- ბაქო-თბილისი-ყარსის რკინგზა
- ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილსადენი.

მათი ფორმატი რეგიონალურს ცდება და ტრანსრეგიონალურ ფორმას ღებულობს. ის აკავშირებს ცენტრალური აზიის ქვეყნებს ბალაკანეთის ქვეყნებთან. მათი ურთიერთობების ინტერესებში შედის სამხედრო-ეკონომიკური გამოცდილების გაზიარება და განვითარება.

(GITARA) საქართველო-ირანი-თურქეთი-აზერბაიჯანი-რუსეთის ფედერაცია-სომხეთი - ამ ფორმატის გათვალისწინებითი ირანი ემატება, როგორც კავკასიის ნაწილი. ასეთი ფორმა იძლევა საშუალებას შეიქმნას ერთიანი დიდი კავკასიის გლობალური უსაფრთხოების ხედვა. გლობალური და რეგიონალური აქტორებისთვის იქმნება საშუალება შეიქმნას, დიდი სამხეთ კავკასიის ერთიანი ეკონომიკური სივრცე.[44]

კისლოვოდსკის ფორმატი (1+3) რუსეთი-საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანი - ელცინის დროინდელი ფორმატია, რომელიც კავკასიის ოთხეულს წარმოადგენდა. ბუნებრივია რუსეთი საკუთარი ზეგავლენის დომინირებას ახდენდა დანარჩენ სახელმწიფოებზე, ამიტომ ამ ფორმატს ნაკლები პერსპექტივა აქვს, რადგან უმეტესი ქვეყნები „ევერკავშირის“-კენ და „ნატოს“-კენ იხრებიან, რომ თავი აარიდან რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას.[45]

ფორმატი (3+3) (რუსეთი, თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო) - ეს ფორმატი ირანის პროექტი გახლავთ, რადგან მას სურს გააძლიეროს საკუთარი პოლიტიკურ, ეკონომიკური და რელიგიური ინტერესები რეიგონში. თუმცა მისი პოზიციები იმდენადაა შესუსტებული გაძევების პოლიტიკით, რომ მისი საგარეო პოლიტიკა მხოლოდ ამბიცებით შემოიფარგლება.

---

[44] [45] ალექსანდრე რუსეცკი; საერთაშორისო რეგიონალური განზომილებანი და მათი შესაბამისი ფორმატები საქართველოსათვის; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.7&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.6.1

ფორმატი (3+3+2) - ემერსონის ფორმატი - თურქეთის პრეზიდენტიეს მიერ წამოყონებული ეს იდეა 2001 წელს სომხეთის პრეზიდენტმა რ. ქოჩარიანმა გადაკეეთა, როგორც სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების ფორმატის სისტემით:

- აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი 3
- რუსეთი, ირანი, თურქეთი +3
- აშშ-სა და ევროკავშირის მონაწილეობით +2[46]

(GIR) საქართველო-ირანი-რუსეთი - ეს კვლავ ირანის მხირდან საკუთარი რეიგონალური ამბიციების გამოვლინებაა, ამ ფორმატით ისინი მზად არიან საქართველო-რუსეთის კონფლიქტის დარეგულირებას შეუწყონ ხელი თუ თივთონ ქვეყნები გამოთქვავენ სურვილს. თეირანი ყურადღებით აკვირდება სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებს და ცდილობენ გამოიყენონ ყოველი შანსი მათი გავლენის მოსაპოვებლად.[47]

(GRA) საქართველო- რუსეთი-აზერბაიჯანი - საკმაოდ საინტეროსო სამკუთხედია, შესაძლოა ამ ფორმატმა კონფლიქტების დარეგულრება შეუწყოს ხელი. ერთიანი თანამშრომლობა ყველა სფეროში და საერთო მიზნების განხორციელება. საქართველო და აზერბაიჯანი, როგორ ევროკავშირს მოკავშირე ქვეყნები რუსეთ-ირანის გაძლიერების შემთხვევაში, ისინი იქნებიან შემაკავებელი ძალა.[48]

(IGRA-A) ირანი-საქართველო-რუსეთი-აზერბაიჯანი-სომხეთი - ის წარმოადგენს გაძლიერებულ ფორმატ „IGRA“ -ს, რომელიც კასპიის ზღვის აუზში აწვრიანებს საქართველოსა და სომხეთს, ასევე შავი ზღვის აუზში აზერბაიჯანს ანუ სამხრეთ კავკასიის რეგიონის განვითარება არა შავი ზღვის არეალში არამედ

---

[46] [47] [48] [49] ალექსანდრე რუსეცკი; საერთაშორისო რეგიონალური განზომილებანი და მათი შესაბამისი ფორმატები საქართველოსათვის; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.7&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.6.1

კასპიის ზღვაში. ეს ფორმატი აძლევს საშუალებას ისეთ ქვეყნებს, რომელთაც ზღვაზე გასავლელი არ გააჩნიათ.[49]

რეგიონალური ფორმატების საქართველოს გარეშე წარმოუდგენელია, რეგიონში არსებული მძიმე პოლიტიკური პროცესების გამო, ამიტომ ამ ფორმატების გაერთიანებების მთავარი ცენტრი საქართველოს რესპუბლიკა წარმოადგენს. დღეს კავკასია თამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ტრანსრეგიონული დანიშნულების რეგიონად. მის არეალში მრავალი რეგიონული თუ შორეული აქტორი ცდილობეს ჩარევას. მისი სატრანზიტო დერეფანს წარმოადგენს, ევრაზიის კონტინენტზე მდებარე აღმოსავლეთს და დასავლეთს მოუპოვოს ენერგო დამოუკიდებლობა. ორივე მხარე ცდილობს განთავისუფლდეს რუსეთის მონოპოლიისგან, თავის მხრივ ევროპის ქვეყნებს სურთ ალტერნატიული ჩრდილოეთ იმპერიის გვერდის ავლით მიიღონ და მათ ბაზარზე შეამცირონ რუსეთის გაზის იმპორტი. ცენტრალური აზიის ქვეყნების მიზანია აწარმონ იმპერიისგან დამოუკიდებლად საკუთარი ენერგო პოლიტიკა და შექმნან ალტერნატიული პროექტები რუსეთის ჩარევის გარეშე, რათა შემცირდეს მისი გავლენა კასპიისპირეთის ქვეყნებზე. გეოპოლიტიკურ ჭიდილში კავკასიას მხოლოდ სატრანზიტო ფუქნცია არ გაჩნია და მის არეალშიც არის ნავთობ მომპოვებელი ქვეყანა, რომელიც ასევე დივერისიფიკაციული გზით ცდილობს საკუთარი ენერგოპოლიტიკის წარმოებას. ამ სამი რეგიონის ევროპა- კავკასია - ცენტრალური აზია, დღევნდელი გეოპოლიტიკური პროცესებით კავკასია წარმოადგენს მთავარ საკვანძო რეგიონს.

კავკასიის ენერგოუსაფრთხოება დამოკიდებულია მსოფლიო გეოპოლიტიკურ პროცესებზე. მას არ შესწევს ძალა გახადოს საკუთარი სივრცე სტაბილური და უსაფრთხო, რადგან მისი მეზობლის ენერგოპოლიტიკა ეწიღმდეგება დივერისიფკაციას, ის ყველანირი ქმედებებით ცდილობს არ დაუშავს მის გარეშე ალტერნატიული პროექტებისა და პროცესების დაშვება. მისი

უსაფრთხოების მთავარ გარანტი წარმოადგენს დასავლეთი. ის ცდილობს ამ რეგიონში შექმნას სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო. სწორედ მათი ინიციატივით ხვდება ამ რეგიონის ქვეყნების გაწევრიანება ისეთ რეგიონალურ ბლოკებში როგრიცაა:

„ასოცირების შესახებ შეთანხმება(Association agreements)“ - ახალი ტიპის შეთახმებაა,რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის ქვეყნებთან ინტეგრაციას მის აღმოსვალელ პარტნიერებთან,ეკონომიკის განვითარებასა და ყველა მნიშვნელოვან სფეროს.

ასეთი ქმედებებით აშშ-ე ცდილობს განავითაროს ამ რეგიონის ქვეყნები, რათა შესწევდეთ უნარი საკუთარი და სატრანზიტო კომუნიკაციების უსაფრთხოება.

3.2. კავკასიური რეგიონალური ინტეგრაციის ისტორია და რუსეთის ფაქტორი

კავკასიის რეგიონი ყოველთვის იყო, არის და იქნება მსოფლიო გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ინტერესებში, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. მას შეგვიძლია თამამად ვუწოდოთ ევროპა-აზიის დამაკავშირებელი საზღვარი, რომლის ნათელი მაგალითია ჯერ კიდევ ძვ. წ. II საუკუნეში არსებული ,,აბრეშუმის გზა“, რომელიც წარმოადგენდა აღმოსავლეთის ცივილიზაციის კერძოდ ჩინეთის დამაკავშირებელ გზას იმდროიდენ ევროპულ იმპერიებთან რომსა და ბიზანტიასთან, სავაჭრო ეკონომიკური მიზნებისთვის. აბრეშუმის გზა კასპიის ზღვით უკავშირდებოდა კავკასიას, შავი ზღვის გავლით კი ბიზანტიასა და რომს აღწევდა. ისტორიის თვალის გადავავლებით ნათლად იკვეთება, რამდენად მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კავკასიის რეგიონს, თითოეულ ეპოქაში არსებული ისეთი სახელმწიფოები, რომლებსაც გააჩნდათ მსოფლიო დომინანტური ინტერესები. სწორედ კავკასიის რეგიონი წარმოადგენდა იმპერიებისთვის საკუთარი

ინტერესების დაპირისპირების ადგილს. როგორც ბიზანტიის იმპერია, ასევე ისლამური სახელმწიფოები, სპარსეთის, არაბეთის იმპერიის სახით მუდმივად ცდილობდნენ საკუთარი გავლენისა და ინტერესის სფეროში მოექციათ ეს რეგიონი. ეპოქების მსვლელობისას, მსოფლიო ასპარეზე დომინირებადი სახელმწიფოების ცვლასთან ერთად იცვლებოდა კავკასიის რეგიონში ძალაუფლების მპყრობლის ვინაობაც. არაბთა სახელმწიფოს შემდეგ კავკასიის რეგიონზე მონღოლთა ურდო გაბატონდა, რომლებიც რუსეთში 300 წელი ბატონობდნენ.[50] აქედან გამომდინარე ცალსახად შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ კავკასიის რეგიონის მიმართ მსოფლიო მაშტაბის გეოპოლიტიკური ინტერესების არქონის შემთხვევაში, ამგვარი მოცულობის გამუდმებული მაშტაბური სამხედრო მოქმედებებს, ადგილი არ ექნებოდა და ამგვარი რაოდენობის ყურადღებას არცერთი იმპერია არ დაუთმობდა.

დღევანდელ რეალობაში კავკასიის რეგიონის მნიშვნელობის გასაგებად საკმარისია მისი გეოგრაფიული მდებარეობა გავიაზროთ. ჩრდილოეთიდან მას რუსეთი, ხოლო სამხრეთიდან თურქეთი და ირანი ესაზღვრება. დასავლეთით შავი ზღვის გავლით უშუალო კავშირი აქვს მსოფლიო საზღვაო ეკონომიკასთან. ხოლო აღმოსავლეთიდან უშუალო კავშირის დამყარება შეუძლია აზიის ქვეყნებთან. ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფოების გარდა, ცალსახაა ზუსტად ამ მდებარეობის გამო აშშ და ევროპის ინტერესის სფეროს ქვეშ ყოფნაც.

კავკასიაში რუსეთის ინტერესის სფეროს გაჩენა მე-17 საუკუნეში იწყება, როდესაც სამხრეთ კავკასიის სამთავროები ცდილობდნენ დიპლომატიური კავშირის დამყარებას. ისინი რუსეთის სახელმწიფოში ხედავდნენ დამხმარე ძალას ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა ყალბი დაპირებების გარდა რეალურად არანირ სამხედრო დახმარების გაწევის მცდელობაც კი არ ყოფილა რუსეთის მხრიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ, პირიქით აღნიშნული კავკასიური სამთავროების მხრიდან რუსეთის

[50] მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; გამომცემლობა ციცინათელა; საქართველოს დედა ეკლესია; თავი X. ქართული ეკლესია XIII საუკუნეში; 2006 წელი

სახელმწიფოსთან კავშირის უშედეგო მცდელობები კიდევ უფრო ძაბავდა ვითარებას ისლამურ სახელმწიფოებთან.

მე-18 საუკუნის სამოციან წლებში რუსეთის ინტერესი კავკასიის რეგიონის მიმართ რადიკალურად შეიცვალა, ოსმალეთთან ომის დაწყების გამო. კავკასიის რეგიონი ყველაზე მიმზიდველი ადგილი აღმოჩნდა, რუსეთისთვის თურქეთის მიმართ სამხედრო დაპირისპირებების წარსამართად. კერძოდ საქართველო წარმოადგენდა სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილს სასურველი სამხედრო დარტყმების საწარმოებლად.

ასევე პირველი მსოფლიო ომში რუსეთისთვის კავკასიის რეგიონი ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან პლაცდარმს წარმოადგენდა გერმანიის მოკავშირე ოსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ.[51] ამავდროულად გერმანია ხვდებოდა, რამდენად დიდ უპირატესობას წარმოადგენდა კავკასიის რეგიონი რუსეთისთვის სპარსეთის მიმართულებით სამხედრო მოქმედებების უპირატესობის მოპოვებაში, რის გამოც იწყებს საკუთარი დაზვერვის გააკტიურებას კავკასიაში პოზიციების გამყარების მიზნით.

სომხეთ-საქართველოს 1918 წლის პოლიტიკური კრიზისი მისი გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას კარგად ასახავას. ორივე ფრონტის ხაზზე იმ დროისთვის შორეული დასვლეთ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფო იდგა (დიდი ბრიტანეთი, გერმანია). სწორედ მათი გეოპოლიტიკური ინტერესების მიზანი იყო კავკასიის რეგიონის სრული დამორჩილება კონტინენტის სამხრეთ ნაწილის დასაკავშირებლად.

ენერგორესურსები, როგორც გეოპოლიტიკურ ასევე გეოეკონომიკური სამყაროს მამოძრავებელი ძალაა. მეორე მსოფლიო ომი მანქანათმშენებლობის ბუმის პერიოდად მოიაზრება. სწორედ ამ ეპოქაში ყველაზე ნათლად იკვეთება კავკასიის რეგიონის მნიშვნელობა საბჭოთა რუსეთისთვის მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც სწორედ კავკასიის რეგიონი წარმოადგენდა სსრკ-ს

[51] რევაზ გაჩეჩილაძე; მსოფლიო ომი და მისი შედეგები საქართველოსათვის; 30.07.2014; http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=21236

ნავთობით მომარაგების მთავარ წყაროს. მთლიანი საბჭოთა კავშირის ნავთობის წარმოების 80%, კავკასიის რეგიონიდან მოიპოვებოდა, კერძოდ აზერბაიჯანიდან. ომის სსრკ-სთვის წარმატებით წარმართვისთვის აზერბაიჯანის როლი ძალიან დიდი იყო და შეიძლება ითქვას მათზეც დამოკიდებული. აზერბაიჯანმა საბჭოთა კავშირის ომში ენერგორესურსების სრულად მომარაგებისთვის, ჯამში 75 მილიონი ტონა საწვავის წარმოება შეძლო.[52]

იმის კიდევ ერთხელ ხაზგასასმელად თუ რამდენად დიდი, მნიშვნელობა ქონდა საბჭოთა რუსეთისთვის კავკასიის რეგიონს, გვაქვს შესაძლებლობა ისტორიიდან მოვიყვანოთ საბჭოთა კავშირის მარშლის ჩანაწერი აზერბაიჯანის მიმართ: „ბაქოს მენავთოებმა ფრონტსა და ქვეყანას მისცეს იმდენი საწვავი, რომ ჩვენ შევძელით ჩვენი სამშობლოს დაცვა და მტერზე სწრაფი გამარჯვების მოპოვება.“[53]

გერმანიისთვის ნათელი იყო კავკასიის რეგიონის მნიშვნელობა, მისი დასაკუთრებით რამდენად დიდი უპირატესობის მოპოვება იქნებოდა შესაძლებელი მსოფლიო ომში, თუმცა მისი მცდელობები წარუმატებელი გამოდგა, საბჭოთა რუსეთი თავგამოდებით იცავდა კავკასიას.

რუსეთის იმპერიის გეოგრაფიული მდგომარეობა ახალისებდა სახმელეთო კომუნიკაციების განვითარებას სახელმწიფოში, მაგრამ საზღვაო გზების გამოყენება საკმაოდ გვიან დაიწყეს. შესაბამისად მის ერთერთ სახმელეთო დერეფანს კავკასია წარმოადგენდა. რუსეთის ფაქტორი შეგვიძლია ოთხ ფაზად დავყოთ კავკასიის რეგიონზე:

I ფაზა - რუსეთის მხირდან კავკასიის გავლით სამხრეთ ნაწილის ათვისება, სადაც არა ერთი მოწინააღმდეგე იმპერია იმყოფებოდა, და კავკასიის რეგიონის ბუფერულ ზონად გამოყენება. გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით კავკასია რუსეთისთვის სხვა იმპერეიბის ბარიკატს წარმოადგენდა.

---

[52] В.А.,БЕЛЯКВА; ТРУДОВОЙ ГЕРОИЗМ РАБОЧИХ АЗЕРБАЙДЖАНА В ГОДЫ ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЫ(1941-1945ГГ); БАКУ-АЗНЕФТЕИЗДАТ-1957 ст.65-80ст

[53]Василий Истратов: Без природных ресурсов Азербайджана не было бы победы в Великой Отечественной войне; 8 мая 2007; https://news.day.az/politics/79101.html

II ფაზა - ინდუსტირალური პერიოდი, როდესაც კავკასიას რეგიონალურ დანიშნულებას ემატება ბუნებრივი რესურსების მომპოვებელი რეგიონის მნიშვნელობა. საბჭოთა იმპერიის მხირდან მისი მთლიანი ექსპანსია და მსოფლიო პოლიტიკური პროცესებიდან გაქრომა. რეგიონის ყველა სახელმწიფო კარგავს სუვერენიტეტს და საგარეო პოლიტიკის წარმოების შანსი აღარ რჩებათ. მხოლოდ დამოკიდებულები არიან ერთ საერთო სივრცეზე, რომელსაც სოციალისტური იმპერია ერქვა. ასეთ გარემოებაში სატრანზიტო დერეფნის ფუნქცია დაეკარგა, მაგრამ საბჭოთა კავშირის იმპერიას ამარეგებდა ბუნებრივი რესურსებით, ამის მაგალითია მეორე მსოფლიოს ომის დროს მისი ნავთობ რესურსების გამოყენების მაშტაბები.

III ფაზა - ცივი ომის პერიოდი, სადაც კავკასიას სატრანზიტო დერეფნის ფუქნცია უბრუნდება. სოციალისტური იმპერია ცდილობს საზღვრებისა და ინტერესების გაფართოებას, სამხრეთით კავკასიის გავლით ახლო აღმოსავლეთისა და სპარესითის ყურის ნავთობით მდიდარ სახელმწიფოებთან კომუნიკაციების გააქტიურება. ასევე მის მოკავშირე ირანთან მჭიდრო კონტაქტი და თურქეთიში კომუნისტური იდეოლოგის შეტანის მცდელობა.

IV ფაზა - სსრკ-ს დაშლა და კავკასიის რეგიონის ახალი დანიშნულების დასაწყისი. მისი გეოგრაფიულად ხელსაყრელი ადგილმდებარეობა მსოფლიოს აქტორების ინტერესების ქვეშ ექცევა. რუსეთის კი თავისი ჩვეული აგრესიული საგარეო პოლიტიკით, რეგიონის კონფლიქტური კერების გაჩენის ინიციატური ხდება. ამ ქმედებებით ის აფერხებს კავკასიის რეგიონალურ დანიშნულების განვითარებას. ჩრდილოეთის იმპერია ისევ ცდილობს რეგიონი მოაქციოს ბლოკადაში და გახადოს მხოლოდ მასზე დამოკიდებული. იგი მკაცრად ეწინააღმდეგება გარე აქოტორების შემოსვლას რეგიონში. ასევე არ აძლავეს საშუალებას ირიბი თუ პირიდაპირი ჩარევით აწარმოონ მისგან ისეთი საგარეო პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემს გახდნენ მისგან დამოუკიდებლები. მისი პოზიციის კარგი მაგალითია, ენერგო დივერსიფიკაციული გზების მშენებლობის ხელის შეშლა. დღეს როდესაც ენერგოუსაფრთხოება არის მთავარი

ინტერესის სფერო მსოფლიოში, ის კავკასიის რეგიონს კიდევ უფრო მატებს რეგიონალური დანიშნულების არეალის მნიშვნელობას, რომელიც ერთდროულად სატრანზიტო დერეფანს წარმოადგანს ენერგო რესურსებით მდიდარ რეგიონთან და მეორეს მხრივ თვითონაც ნავთობ მომპოვებელი რეგიონია. ამ ინფრასტრუქტურის განვითარების საშუალებას ჩრდილოეთ მეზობელი არ აძლევს და მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტებით აფერხებს ან ბლოკავს. დღეს XXI საუკუნეში კვლავ არსებობს საშიშროება რეგიონის ქვეყნებში სუვერენიტეტის შენარჩუნების, ამის ნათელი მაგალითია: საქართველოს ქვეყნის ნაწილი ოკუპირებულია და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ცენტრალურ მაგისტრალიდან, რამდენიმე კილომეტრში მათი სამხედროები დროებით იდებენ ბინას. ამას გარდა ის ქმნის არასტაბილურ გარემოს, ასეთ ვითარებაში კი წარმოუდგენელია სატრანზიტო კომუნიკაციების პროცესების უსაბრთხოება. კავკასიის მეორე ბომბი კი ყარაბაღია (აზერბაიჯანისა და სომხეთის კონფლიქტის მიზეზი). რუსეთი ხედავს რა საშიშროებას აზერბაიჯანის დიდი ენერგო მარაგების საერთაშორისო სავაჭრო სივრცეში გატანას, ასევე მისი მეშვეობით ცენტრალური აზიის ქვეყნების დაკავშრებას. არსებობს მისთვის კიდევ ერთი საშიშროება სამხრეთ კავკასიის გაერთიანება, სადაც მისი ინტერესების გატარება გართულდება და სწორედ ამიტომ ყარაბაღის დაპირსპირების პროვაკაციულ გზებს ხელს უწყობს.

3.3. ახალი რეგიონალიზაცია როგორც რეგიონული უსაფრთხოების ახალი მოდელი

პოლიტიკური თვალსაზრისით რეგიონალიზმი წარმოადგენს იდეოლოგიას, რომელიც წინა პლანზე წევს ადგილობრივ ინდივიდუალიზმს, დამოუკიდებელ რეგიონალურ დაგეგმვას და ადმინისტრაციული თავისუფლების აუცილებლობას. რეგიონალიზმს შესაძლოა ქონდეს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგები. მან ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ რეგიონალურ განვითარებას,

კერძოდ ხელსაყრელი პირობები უნდა მოუტანოს გარკვეულ რეგიონალურ ინტერესებს.

საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით, რეგიონალიზიმი ხშირად გამოიყენება მაშინ როდესაც ქვეყნებს შორის ინერგება საერთო ინტერესები, პოლიტიკა და გარკვეული შეთანხმებები, რომელიც მიმართულია რეგიონალური კეთილდღეობისთვის, რის მაგალითადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ NAFTA (ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება) და "ევროკავშირი".

პირველ დალაგებულ რეგიონალურ ინიციატივებს მეოცე საუკუნის 50-იან 60-იან წლებშვი ვხვდებით, დასავლკეთ ევროპის ქვეყანათა ევროპული თანამეგობრობის ჩამოყალიბებით (ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა). ექსპერტები ამ პროცესებს ძველ რეგიონალიზმად მოიხსენიებენ.[54]

ევროკავშირი წარმოადგენს რეგიონალიზმის ნათელ შედეგს. რეგიონი როდესაც ხდება ეკონომიკურად უფრო ინტეგრირებული, ეს აუცილებლად ნიშნავს იმას, რომ ის იქნება პოლიტიკურად ინტეგრირებულიც. ახალი რეგიონალიზაციის მიზანი სახელმწიფოს ტრანსფორმაციია მიმართული ეკონომიკური ცვლილებებისკენ, გლობალიზაციისა და ევროინტეგრაციისკენ, რომელიც პოლიტიკური და ეკნომიკური სიძლიერის წინაპირობაა.

ახალი რეგიონალიზაცია აუცილებელია ქვეყნის როგორც კერძო ასევე საერთო რეგიონალური პრობლემების გადასაჭრელად. ახალი რეგიონალიზაციისგან მიღებული სწორი გადაწყვეტილებები და შეთანხმებები იქნება წინაპირობა ქვეყნის ძალაუფლების გასაძლიერებლად. როგორც ქვეყნის ასევე რეგიონალური პოლიტიკური სიძლიერის წინაპირობაა ეკონომიკური მდგრადობა. რეგიონი ეკონომიკურად ვერ ინტეგრირდება თუ ის პოლიტიკურად ინტეგრირებული არ არის. ეკონომიკურ გადაწყვეტილებები და შეთანხმები სასურველი შედეგებით არ დასრულდება თუ არ არსებობს საერთო ფასეულობები

[54] W.J. Ethier; The International Commercial System; 4 regionalism; page 11; 1998; https://ies.princeton.edu/pdf/E210.pdf

და მიზნები, უთანხომებათა ეფექტური და მშვიდობიანი გადაწყვეტილებების შესაძლებლობა.[55] ახალი რეგონალიზაცია უნდა იყოს რეგიონული უსაფრთხოების ახალი მოდელი.

შავიზღვისპირეთის არეალის სტაბილურობისა და სწორი, რეგიონალური ეკონომიკური ასევე პოლიტიკური განვითარებისთვის აუცილებელ წინაპირობას რეგიონალური უსაფრთხოება წარმოადგენს. სწორი რეგიონალური უსაფრთხოების დანერგვის შემტხვევაში გაერთიანებაში მყოფ ქვეყნებს შეეძლებათ ისეთი პრობლემების მოგვარება როგორიცაა კონტრაბანდის თავიდან აცილება, საბაჟო და აქციზური კონტროლი, როგორც საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ტრანსპორტირების გამარტივება, საზღვრების გაძლიერება, საემიგრაციო კონტროლი, კიბერუსაფრთხოების გაუმჯობესება, ეკონომიკური მარშუტებისა და პროექტების ეფექტურად წარმართვა, სამხედრო თავდაცვითი კონტროლი, გარემოსდაცვითი კონტროლი, როგორც ფინანსური დახმარებითი ფონდების ასევე სამხედრო სამაშველო კავშირების ჩამოყალიბება.

ახალი რეგიონალიზაციის მთავარ უპირატესობას მისი ფართომაშტაბურობა წარმოადგეს. ის არ არის კონკრეტულ გეოგრაფიულ საზღვრებში ჩაკეტილი, მას არ აქვს რაიმე შენობის მაგვარი კარკასული სტრუქტურა, მისი რეგიონალური საზღვრები შესაძლებელია გაფართოვდეს პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. მას აქვს ბიოლოგიური მახასიათებლი და რეაგირებს გარემო ფაქტორებზე, სწორედ ამიტომ უნდა იყოს თითოეული ფაქტორი სწორად გაანალიზებული, სწორი რეგიონალური განვითარებისა და უსაფრთხოებისთვის.

კავკასიას ახალი რეგიონული მოდელის განვითარებაში შავი ზღვისპირეთის არეალის უსაფრთხოება ეხმარება და აძლევს საშუალებას იყოს კონტინენტის რეგიონალური სივრცე. იმ რეალობაში, როდესაც მიმდინარეობას რეგიონში

---

[55] გიორგი სანიკიძე, ნინო კიღურაძე; თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები; VIII. რეგიონალიზმი და ინტეგრაცია 2001 წელი; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.10&d=HASH1d0a9dbec01b35bd43ea30.9

სხვადსხვა აქტორების განსხვავებული ინტერესების გატარება, მისი სტაბილური ფონის შენარჩუნება რთულია. შესაბამისად საჭიროა მისი რეგიონალური პოზიციის დადგენა, რათა შემუშავდეს საერთო რეგიონის საფრთხეების განჭვრეტა. კავკასია შორს არის საერთო სივრცის განზომილების შემუშავებასთან, რადგან თითოელი სახელმწიფოს განსხავებული პოზიცია აქვს. ისინი სააფრთხებს აფასებენ სახელმწიფოს ინტერესების გათვალისინებით. ეს მხოლოდ კავკასიის რეგიონალური თვითშეგნების პრობლემა არაა, იგი შავიზღვისპირეთის არიალის ქვეყნებშიც საკმაოდ გავრცელებულია, თვით „ნატო“-სა და „ევროკავშირის“ სევრცეში. სწორედ ამიტომ შავიზრვისპირეთის არიალის უსაფრთხოების როლს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კავკასიის რეგიონის რეგიონალიზაციაში. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან აღმოსავლეთის მიმართულებით პასიური საგარეო პოლიტიკა პრობლემების გადაწყვეტისათვის საკმარისი არ არის. რეგიონის უსაფრთხოების განუვითარებლობა ევროპის სახელმწიფოებსაც პრობლემას უქმნის და აძლევს საშუალებას იყო დამოკიდებული მონიწააღმდეგის ზრახვებზე.

დასაველეთ ევროპის ქვეყნების აღმოსაველთით გააქტიურებაში ახალი რეგიონალური ხედვის ნაბიჯებად შეგვიძლიათ შევაფასოთ, თუმცა მათ მიდგომას ახალ რეგიონალიზაციას ვერ ვუწოდებთ, თუნდაც მათი სამომავლო მაშტაბური დივერსიფიკაციული პროექტების გათვალისიწინებითაც, ვერც ენერგოუსაფრთხოების სპექტრში გადადგმულ ნაბიჯებს შევაფასებთ გადამწყვეტად. მიმდინარეობს პროცესები თუმცა შედეგები საკმაოდ მცირე სარგებლის მომტანი ახალი რეგიონალურ განზომილებისთვის, „ევროკავშირი“- ს ქვეყნები ძველი რეგიონალური პრიცნციპით მიყვებიან აღნიშნულ საკითხებს, ცდილობენ შემოიყვანონ გარე მოკავშირეები მათივე სფეროში, ანუ ისინი არ ცდილობენ საკუთარი რესურსების გადატანას აღმოსვლეთით. ახალი რეგიონალიზაცის მცნების მოაზრება ამ გზითაც შეგვიძლია. საჭიროა გააქტიურდნენ დასავლეთის განვითარებული სახელმწიფოები კავკასიის რეგიონში, გადმოიტანონ საკუთარი მუშაობის მექანიზმები, გამოცდილებები,

აქტიურად დაიწყონ ქვეყნებთან კომუნიკაციები. ეს პრინციპი მიზნად ისახავს დასავლეთ რეგიონისა და აღმოსავლეთ რეგიონის გაერთიანებს და არა „ აღმოსავლეთის დასავლეთისკენ მოქაჩვას“. მათი წარმატებული მექანიზმები შემოიტანონ შავი ზღვის არიალის გავლით კავკასიის რეგიონში. მათ წევრ ქვეყნების მსაგავს მოკავშირე ქვეყნებთან გააქტიურონ თანამშრომლობის ხარისხი, მთლიან არეალში შექმნან საერთო სივრცის განზომილება, რადგან ყველა არა წევრი ქვეყანის საგარეო პოლიტიკა მათან დაკავშირების მომხრეა. ცივი ომის დროინდელი მიდგომა მაგალითია იმისა თუ როგორ გადაინაცვლა დასავლეთ რეგიონის მცნებამ აღმოსავლეთით და შეიქმნა საერთო სივრცედ, ანუ საჭიროა უფრო მეტი ინვესტიციები, ეუთოსა და გაეროს სამშვიდო მისიების აქტიური ჩარევა, აშშ-ს სახელმწიფოს მტკიცე რეგიონალური მხარდაჭერის გამოცხადება, რადგან გააძლიეროს რეგიონალური თვითშეფასების ამაღლება. ჩამოყალიბდეს მცნება რეგიონალური განვითარების და მის განვირთარებაზე ყველამ ერთად თანაბრად იზრუნონ. რეგიონში არსებულ გაერთიანებებს ზუსტად მსგავსი პრინციპები აკლიათ, ისინი საკმაოდ უსუსურად გამოიყურებიან პრობლემური საკითხების გადაჭრაში. საჭიროა უშუალოდ ძირითადი ორგნაზიციების ჩართულობა ან უშუალოდ მათი აქტიური მხარდაჭერა. საერთო რეგიონულ მცენბამ უნდა გადმოიწიოს შავი ზღვის არიალში ამგვარად იგი ახლოს იქნება, როგორც აღმოსავლეთით ისე დასავლეთით, პრობლემების აღქმა ორივე ნაწილიდან უფრო მძაფრი იქნება. საერთო რეგიონალური პრინციპის ამაღლება უშუალოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც უნდა განვითარდეს, მაგალითად ესპანეთი და საქართველო ერთ რეგიონად უნდა მოიაზრებოდეს და მათთან დაკავშირებული გამოწვევები და პრობლემები ერთნაირი სიმძაფრით უნდა იქნას გადაჭრილი.

აღნიშნული ახალი რეგიონალიზაციის მოდელის გააქტიურების შემთხვევაში ჩნდება კითხვა ისედაც პოლიტიკურად მძიმე რეგიონში, კიდევ ხომ არ დაძაბავს პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროს ჰეეგემონის მხრიდან?

ამ კითხვის მარტივი პასუხი გალხავთ „ინტერმარიუმი“ ზღვათა შორისო გეგმა, პოლონეთის უსაფრთხოების გეგმა რომელშიც აღმოასვლეთ ევროპის 11

ქვეყნა ერთიანდება (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, თურქეთი, საქართველო, აზერბაიჯანი). იგი „ნატო“-ს ალტერნატიული მოდელია და ეს მათთან დაახლოების კარგი პლაცდარმია კავკასიის რეგიონის ქვეყნებისთვის. აქტორების მხრიდან კი ეს გაერთიანება რეალურად არ იქნება აღქუმული და დიდ შეშფოთებას არ გამოიწვევს მათი მხრიდან, ამგვარად ეს ქვეყნები მოახერხებენ საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების გაერთიანებას და ერთიანი ძალით განვითარებას, მათი ზურგის გამმაგრებელი კი ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იქნება.[56]

[56] მარიამ გრიგალაშვილი; ინტერმარიუმი – საუკუნოვანი პოლონური პროექტის ახალი სიცოცხლე; მაისი 2017 წელი; http://gip.ge/ge/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90/

დასკვნა

თანამედროვე პერიოდში არსებული გეოპოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, მოსფლიოს ძალად რამდენიმე აქტორი გამოიკვეთება. მათი ძალთა ბალნსი აღემატება დანარჩენ სამყაროს ქვეყნებს და ისინი განაგებენ მათ ირგვლივ არსებულ პროცესებს. ქმნიან ტრანზიტულ დერეფნებს, ბუფერულ ზონებს და აქტიურად იღებენ მონაწილეობას მსოფლიოს გადანაწილების საკითხიში. მათი მთავარი პრიცნციპი ენერგოპოლიტიკაა, რადგან წამყვანი მსოფლიოს ქვეყნებისთვის ყველაზე ტენდეციური საკითხი გახლვთ.

ნაშრომში მიმოხილული საკითხებიდან გამომდიარე ჩვენ პასუხი გავეცით ჩვენს მიერ შესავალში დასმულ საკვლევ კითხვებს.

რა მნიშნვნელობა აქვს კავკასიის რეგიონში ენერგოპროექტებს, მისი დამოუკიდებლობისთვის?

კავკასია თავის ისტორიის მანძილზე იბრძვის პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის. მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით მისი რეგიონალური როლი ასეთი მაშტაბებით ჯერ არ ყოფილა. რეგიონის გავლით დაგეგმლია არა-ერთი მაშტაბური ენერგოპროექტები, რომლებსაც უდედესი მნიშვნელობა აქვს რეგიონისთვის. იგი მოახერხებს რეგიონალური ძალების გაძლიერებას და მის პოზიციებს უფრო მტკიცედ დაიცვას და არ მისცემს საშუალებას გარე ძალების უხეშ ჩარევას. ასევე ხელს შეუწყობს ეკონომიკური დოვლათის შექმნას, რომელიც მოიზიდავს საერთაშორისო კომპანიებს და გააჩენს რეგიონში რეგიუნალური დამოუკიდებლობისთვის საჭირო ინვესტიეცეობს. რეგიონალური მნიშვნელობის როლის განმტკიცების შემდეგ კონკრეტული საფრთხეების წინაშე იგი მარტო აღარ იქნება და აქტიური ხელშეწყობა ექნება მსოფლიოს აქტორებისგან.

რა ინტერესები აქვს რუსეთს შავი ზღვის არეალში და როგორია მისი ენერგოპოლიტიკა?

რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა დამყარებულია მისი ენერგორესურსების ექსპორტით და მასზე დამოკიდებულ ქვეყნებში საკუთარი ინტერესების გამოყენბით. შავი ზღვის არიალიც არ არის გამონაკლისი და მასში მწავავე გეოპილიტიკური პროცესები მიმდინარეობას. რუსეთის ამჟამინდელი პოზიციაა დასავლეთიდან მომავალი აგრესიის შეკავებაა, სწორედ ამიტომ იგი ძირითად შემთხვევებში არეალის დესტაბილურობისა და დაპირისპირების ინიციატორია. იგი ცდილობს გაატაროს საკუთარი ხისტი პოლიტიკა და შავი ზღვა გამოიყენოს ენერგოპროექტების გამტარ ტრანზიტად, რადგან საკუთარი აგრესიული პოლიტიკა მისი ინტერესების ხელ შეუშლელად აწარმოოს. რასაკვირველია იგი ეწინააღმდეგება და ხელოვნურად ამუხრუჭებს ყველა იმ პროექტს, რომელიც მისი გვერდის ავლით ხდება. იგი ცდილობს ნაკლებად გამოიყენოს სახმელეთო ტრანზიტი და აითვისოს ზღვები, როგორც ენერგოტრანზიტის გამტარი სივრცე. მისი ასეთი პოლიტიკა მიმართულია ქვეყნების სრულ ვააკუუმში ჩასაყენებლად, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ქვეყნები ენერგორესურსების ალტერნატიულ პროექტების დაფინანსებას ვერ შესძლებენ და რუსეთისგან გაორმაგებულ ფასში მოუწევთ შეძენა, ასევე სატრანზიტო სტატუსით სარგებელსაც ვეღარ მიიღებენ. რუსეთი შავ ზღვას ხედავს, ხმელთაშუა ზღვის გავლით წყნარი ოკანეზე გასასვლეს და საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობის ბაზარს. იგი იყენებს საკუთარ გავლენის არეალში, რათა დაანახოს მთელს მსოფლიოს მისი შესაძლებლობები.

რისთვის ჭირდება ევროკავშირის ქვეყნებს კავკასიის რეგიონის ენერგოუსაფრთხოება?

უკრაინის და რუსეთის კომფლიქტის შემდეგ ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა კვლავ გააქტიურეს ყურადღება კავკასიის მიმართ. მათი მთავარი ინტერესი ალტერნატიული გზის მოძებნასთან ერთად ტრანზიტული რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობაა. კავკასიის რეგიონი მოახერხებს თუ არა შეასრულოს დერეფნის ფუნქცია. ცენტრალუზ აზიასთან დაკავშირება ჯერ კავკასიის ათვისებით მოხერხდება, შესაბამისად რეგიონში ენერგოუსაფრთხოების

განმტკიცება უნდა მოხდეს. ის პროექტები რომელიც ევროპისკენ არის მიმართული "TAP" და "TANAP" მილსადენები, ასევე „ნაბუქო"-ს პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის მილსადენებისთვის კონკურენციის გაწევას. ამ მილსადნებეს კი ცენტრალური აზიიდან წამოსული ნაკადები შუერთდება, რომელიც კავკასიის ენერგოუსაფრთხოებსთან ერთად ევრკოავშირის წევრ ქვეყნებს ენერგოდამოუკიდებლობას მოუტანს.

ზემოთ განხილული ყველა დეფინიციების ანალიზთა გაერთიანების შედეგად, შეგვიძლია ვუპასოხოთ ჩვენს წამოყენებულ ჰიპოეზას: თანამედროვე პერიოდში განვითარებული სახელმწიფოები დიდ ყურადღებას აქცევნ ალტერნატიულ ენერგოპროექტებს, რადგან არ მოექცნენ სხვის ზეგავლნის ქვეშ. ევროპის არეალში ეს საკითხი მწვავედ დგას. ისინი აქტიურად განიხილავენ რუსეთის გაზის იმპორტის რაოდენების შემცირებას ახალი ენერგოპორექტების მეშვეობით. ევრკავშირის წევრი ქვეყნების ინტერესი მიპყრობილია ცენტრალური აზიის მდიდარ მარაგებზე და კავკასიის გამოყენება სატრანზიტო დერეფნად. ამ ორ რეგიონს შორის ყალიბდება საერთო მიზანი, დივერისფიკაციული გზა კავკასიის რეგიონს დამოუკიდებლობის გარანტად მოევლინება, ხოლო ევროპის ქვეყნები ენერგო-ეკონომიკურ დამოუკიდებლობას შეინარჩუნებ და რუსეთის ზეგავლენას შეასუსტებენ. ჩრდილოეთ მეზობელი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი ნაწილი დამყარებულია ენერგო რესურსბის ექსპერტზე, ამიტომ იგი მანიპულირებას პოლიტიკურ-ეკონომიკური ბერკეტებით ცდილობს და ეწინააღმდეება აღნიშნული მოვლენების განვითარებას, ამიტომ რუსეთი სწრაფი ტემპით ახორციელებს დივერისიფკაციული გზების კონკურენტულ ენერგო პროექტებს გაყვანას.

მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გათვალისიწინებით ევროკავშირი ვერ მოიპოვებს ენერგოდამოუკიდებულებას, რადგან რუსეთი ალეტრნატიულ ენერგოპროექტებს ხელოვნური ბერკეტებით ამუხრჭებს, უქმნის საფრთხეებს სახელმწიფოების სუვერენიტეტს: ცენტრალურ აზიასა და კავსიის რეგიონში. ცდილობს შექმნას დესტაბილური მდგომარეობა, ასევე იგი გარემოს დაცვით

ორგანიზაციებში აქტიურად აპელირებს საფრთხის შემცველ რისკებზე. ამასობაში კი თვითონ სწრაფი ტემპებით გაყავს ახალი მილსადენები: „ჩრდილოეთ ნაკადი 2“ და „ლურჯი ნაკადი“. ორივე პროექტი ზღვის ფსკერზე გაივლის (ბალტიისა და შავ ზღვაში) „ჩრდილოეთ ნაკადი 2“ პირდაპირ ჩრდილოეთ ევროპას დაუკავშირდება (გერმანიას), ხოლო ლურჯი ნაკადი თურქეთის გავლით ბალკანეთისა და სამხრეთ ევროპის ქვეყნებს, ამით იგი პირდაპირ კონკურენციას უწევს ტრანსკასპიურ პროექტებს და თუ მაინც გადაწყდება მათი მშენებლობა რუსეთი დაახვედრებს გამზადებულ მილსადენებს, რომ ისევ რუსეთისგან გაიაროს კასპიურმა ენერგო მილსადენება. კოლოსალური თანხები ჯდება ასეთი მაშტაბური გაზსადენების მშენებლობა და ასეთ გარკვეულ დეფიციტს ქმნის ამ პროექტების დაფინანსებაში, იმ ფონზე როდეს ტრანზიტულ რეგიონში სტაბილური გარემო არ სუფევს. რუსეთის მეშვეობით, საჭიროების მხრივს კავკასიის რეგიონში ეთნკური კონფლიქტების გაღვივება ხდება (აფხაზეთი, სამაჩაბლო, ყარაბაღი). ეს საფრთხეები აფრთხობს ინვესტორების შემოსვლას რეგიონში, ასევე გარე აქტორებისთვისაც, ჯერჯერობით ვერ ახერხებნ არეიალში არსებული კონფლიქტების გადაწყვეტასა და დარეგულირებას. შესაბამისად ამ პროექტების პერსპექტივების მიუხედავად, უახლოს ისტორიაში განხორციელება არ უწერია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საერთაშორისო რეგიონალური განზომილებანი და მათი შესაბამისი ფორმატები საქართველოსათვის; ალექსანდრე რუსეცკი; გვ.1. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1-----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.7&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.6.1&gt=1
2. Sergiu CELAC. POLICY PAPER; WHY THE BLACK SEA MATTERS;June2016 http://newstrategycenter.ro/wp-content/uploads/2016/04/Policy-Paper-NSC-and-Center-for-American-Sea-Power.pdf
3. http://www.bsec-organization.org/bsec-at-glance
4. http://www.bsec-organization.org/UploadedDocuments/BsecAtAGlance/Brochure%202018.pdf
5. The EU supports regional development in South-East Europe with its Black Sea Synergy initiative. By encouraging cooperation between the countries surrounding the Black Sea, the synergy offers a flexible forum for developing practical region-wide solutions to address regional and global challenges.; 07/05/2019; https://eeas.europa.eu/arctic-policy/eu-arctic-policy/346/black-sea-synergy_en
6. The OECD Organisation for Economic Co-operation and Development; OECD 2008; https://www.oecd.org/newsroom/34011915.pdf
7. http://www.3dcftas.eu/about
8. ACTIVITIES, RESULTS AND IMPACT OF THE EUROPEAN UNION'S INOGATE PROGRAMME; JUNE 2015. http://www.inogate.org/documents/IMAR_2015_ver_WEB.pdf

9. produced by Finar Kurumsal 2014; TURKISH COOPERATION AND COORDINATION AGENCY; TURKISH DEVELOPMENT ASSISTANCE 2013; https://www.tika.gov.tr/upload/publication/KYR_FRAE_2013_uyg9.pdf

10. გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და "თანამშრომლობითი უსაბრთხოების" თეორია მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები; 2.2 ეკონომიკური უსაბრთხოების ემერგეტიკული ასპექტები: ენერგოგეოპოლიტიკა; გვ.126-129 2017 წელი

11. გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და "თანამშრომლობითი უსაბრთხოების" თეორია მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები; 2.2 ეკონომიკური უსაბრთხოების ემერგეტიკული ასპექტები: ენერგოგეოპოლიტიკა; გვ.126. 2017 წელი

12. 2019 Organization of the Petroleum Exporting Countries; Member Countries https://www.opec.org/opec_web/en/about_us/25.htm

13. მამუკა კომახია. მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (I ნაწილი); აპრილი 2015წ. https://postsovietwatch.com/2015/04/21/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%9D/

14. dr. alan riley; Nord Stream 2: Understanding the Potential Consequences; 2018; https://www.scribd.com/document/382182771/Nord-Stream-2-Understanding-the-Potential-Consequences

15. Nord Stream 2; A new export gas pipeline running from Russia to Europe across the Baltic Sea. http://www.gazprom.com/projects/nord-stream2/

16. Blue Stream; Russian natural gas supplies to Turkey. http://www.gazprom.com/projects/blue-stream/

17. გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და "თანამშრომლობითი უსაბრთხოების" თეორია მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები; 2.2 ეკონომიკური უსაბრთხოების ემერგეტიკული ასპექტები: ენერგოგეოპოლიტიკა; გვ.138-146. 2017 წელი

18. რევაზ ბახტაძე, სივილ ჯორჯია; კასპიის ზღვა – "განხეთქილების ვაშლი" რეგიონში; 29/04/2002; https://civil.ge/ka/archives/127633

19. მამუკა კომახია; მილსადენების პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში (ნაწილი II); მაისი 2015. https://postsovietwatch.com/2015/05/25/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%9E-2/

20. ნიკა ჩიტაძე - ნატო ჩრდილატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1-----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.15&d=HASH01f128b7970284691c5fabfe.8.9

21. თამარ პატარაია; ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის; გვ1-8 http://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2015/03/energy_geo-final.pdf

22. არჩილ გეგეშიძე; TRACECA-ს პროცესის შემდგომი მხარდაჭერა; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.7&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.8.4

23. თამარ პატარაია - ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის. გვ 2-8 http://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2015/03/energy_geo-final.pdf

24. ალექსანდრე რუსეცკი; საერთაშორისო რეგიონალური განზომილებანი და მათი შესაბამისი ფორმატები საქართველოსათვის; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.7&d=HASHc562e01b3cc5fe4d163605.6.1

25. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე; გამომცემლობა ციცინათელა; საქართველოს დედა ეკლესია; თავი X. ქართული ეკლესია XIII საუკუნეში; 2006 წელი

26. რევაზ გაჩეჩილაძე; მსოფლიო ომი და მისი შედეგები საქართველოსათვის; 30.07.2014; http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=21236

27. В.А.,БЕЛЯКВА; ТРУДОВОЙ ГЕРОИЗМ РАБОЧИХ АЗЕРБАЙДЖАНА В ГОДЫ ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЫ(1941-1945ГГ); БАКУ-АЗНЕФТЕИЗДАТ-1957 ст.65-80ст

28. Василий Истратов: Без природных ресурсов Азербайджана не было бы победы в Великой Отечественной войне; 8 мая 2007; https://news.day.az/politics/79101.html

29. W.J. Ethier; The International Commercial System; 4 regionalism; page 11; 1998; https://ies.princeton.edu/pdf/E210.pdf

30. გიორგი სანიკიძე, ნინო კიღურაძე; თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები; VIII. რეგიონალიზმი და ინტეგრაცია 2001 წელი; http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL2.10&d=HASH1d0a9dbec01b35bd43ea30.9

31. მარიამ გრიგალაშვილი; ინტერმარიუმი – საუკუნოვანი პოლონური პროექტის ახალი სიცოცხლე; მაისი 2017 წელი; http://gip.ge/ge/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90/